



და მე გაცყვით თქვენ...

აკითხვებს ყოველ ნომერში ვთავაზობთ ინტერვიუს ქართულ წინასწარმეტყველთან. იზი ისაუბრებს მოცემული მომენტისთვის ყველაზე მატარ აქტუალურ თემაზე, თუმცა ძალბატონი ლელას პასუხები ყოველთვის მუშაობს რამდენიმე წლის წინ ჩაწერილ წინასწარმეტყველებაზე.

ინტერვიუ ჩანარილია 5 იანვარს.

— ქალბატონო ლელა, ახალი, 2012 წელი დადგა. წელი, რომელსაც ლამის მთელ მსოფლიოში ადამიანთა გარკვეული ნაწილი შიშით ელოდა, უფრო სწორედ, მის დასასრულს — დეკემბრის 21-ს. ეს დღე უკანასკნელია მათს ტომის კალენდარში და სწორედ ეს აშუოთებს მათ. თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ დედამიწას დაღუპვას არ ეშუქრება, რომ იგი არც ორბიტას მოსწყდება და არც კოსმიურ უფსკრულში დაინთქმება, ამიტომ ახლა ამას არ გეკითხებით, სხვა რამ მინტერესებს: რატომ შეწყვიტა მათს ტომმა კალენდარი სწორედ ამ დღეზე?

— პირველ რიგში მე თავად მინდა ვიკითხო: რატომ აქვს ამ კალენდარს ასეთი დიდი მნიშვნელობა ხალხისთვის? საერთოდ, რაც იმ კალენდარში იყო აღნუსხული, სრულდებოდა? ან კიდევ, შეწყვიტეს კი ეს კალენდარი ამ დღეზე? იქნებ მისი გაგრძელება არ უპოვიათ? ამაზე ვინმეს უფიქრია ან უმსჯელია?

რატომ შეწყვიტეს, კითხულობ. კი მაგრამ, როდემდე უნდა გავგრძელებინათ — უსასრულოდ? რამდენი საუკუნის აღრიცხვა უნდა მოეხდინათ, რომ ადამიანი კმაყოფილი ყოფილიყო? განა საკმარისი არ არის, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX-III საუკუნეებში მცხოვრებმა ხალხმა აგერ, XXI-ე საუკუნემდე კალენდარი შექმნა? სადაც ხომ უნდა გაჩერებულიყვნენ და ისინიც გაჩერდნენ და არა იმიტომ, რომ ეს დასასრულია.

რაც მთავარია, ამ კალენდარს მე არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ — არა როგორც ადამიანი, არამედ, როგორც წინასწარმეტყველი.

— ქალბატონო ლელა, მოსკოვი ახალი ინიციატივით გამოვიდა დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკის წინაშე და სოს-უმს სირიაში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლთა რეპატრაცია შესთავაზა. მათი მტკიცებით, ეს უდიდეს წვლილს შეიტანს აფხაზეთში დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტაში. ეჭვი მეპარება, რუსებს აფსუების მცირერიცხოვნობა აღელვებდეთ, ფაქტია, ამ ინიციატივის რეალური მიზეზი და მიზანი სხვაა და საინტერესოა, რა?

— ეს სიცრუეა. ეს არ გახლავთ კრემლის ინიციატივა. ეს აფსუების აგორებული თემაა, რადგან სწორედ მათ აქვთ სურვილი მუჰაჯირების აფხაზეთში ჩასახლებისა და არცერთ შემთხვევაში კრემლს.

— განახორციელებენ აფსუები ამ ჩანაფიქრს?

— ვერც ერთ შემთხვევაში. რომ განაცხადონ კიდევ, უკვე შემოვიყვანეთ და ჩამოვასახლეთ მუჰაჯირებით, იცოდეთ, ტყუილი იქნება. რუსეთი წინააღმდეგის ნაცვ, კრემლი ამას არ დაუშვებს. მათ აფსუებისგან იმ ტერიტორიის საერთოდ გასუფთავება და იქ რუსების ჩასახლება უნდა და იმას დათანხმდებ, რომ აფსუების გამორავლებას შეუწყოს ხელი? ეს აბსურდია!

— მაშინ, რატომ ალაპარაკებენ ამ თემაზე საერთოდ აფსუებს?

— თავიანთი ჭკუით, საქართველოს გულის გასახეთქად. ეს ერთგვარ პროპაგანდას ჰგავს — ოლონდ ფუჭსა და ამაოს, იმიტომ, რომ აფხაზეთი ჩვენია და მალე დაბრუნდებით კიდევ.

არადა, აფსუებს, რომლებიც კარგად ხედავენ, როგორ მიექანებიან გადაშენებისკენ, ძალიანაც სურთ მუჰაჯირების ჩამოსახლება (რომელთაც აღარც არაფერი შერჩენიათ ისტორიული წარმომავლობისა), რათა ამით გამოისწორონ დემოგრაფიული მდგომარეობა და ვითომ გამრავლდნენ. მაგრამ ვაი, რომ რუსების ნებას ვერ გადააბიჯებენ.

— ქალბატონო ლელა, კრემლს საკუთარი ფავორიტის მოყვანა სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო ტახტზე მოულოდნელად ფრად გაუჭირდა. იქ სერიოზული დაპირისპირებები და გამოსვლებიც კი იყო, მაგრამ საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა. მაინტერესებს, შეძლებს რუსეთი საბოლოოდ იქ თავისი კაცის დასმას თუ ალა ჯიოვეა შეინარჩუნებს, როგორც თავად ამტკიცებს, სამართლიანად მოპოვებულ თანამდებობას?

— იცით, რომ ეს ვითომ დაპირისპირება ჯიოვეა-ბიბლოვს შორის რუსული პროექტი, პოლიტიკური თამაშია?

— რაში სჭირდება ეს კრემლს? — რომ მსოფლიოს დაანახონ, რაოდენ დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს მათ მიერ

დამოუკიდებლად აღიარებულ რესპუბლიკაში, როგორი აზრთა სხვადასხვაობაა იქ და როგორ ცდილობენ ოსები გამართული სახელმწიფოს აშენებას. არადა, იქ ოსები, პრაქტიკულად, აღარც არიან!

— ქალბატონო ლელა, ჩვენს გაზეთს თითქმის ყოველდღიურად ახალ-ახალი მკითხველი ემატება, რომლებიც ჯერ კიდევ არ გაცნობიან თქვენს ადრეულ ჩანაწერებს და ამიტომ უამრავი კითხვა უჩნდებათ ამათუბ საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთ მათგანს, მაგალითად, აინტერესებს, შეიქმნება თუ არა ქართული ფლოტი, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს?

— ჯერ კიდევ 1992 წელს ვწერდი (22 მარტი, 18 დეკემბერი), რომ მომავალში გაძლიერდებოდა არამხოლოდ ქართული არმია, არამედ ქართული ფლოტიც. დიხს, ბატონო, შავ ზღვაზე ნამდვილი, ძლიერი, ყველანაირად აღჭურვილი ქართული ფლოტი იქმნება და ამაში ამერიკელები გვეხმარებიან. ნურავის დააფრთხოვს ის ფაქტი, რომ შავი ზღვა ამერიკელებისთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს. ამაში საშიში არაფერია, პირიქით, სწორედ ამის გამო შეეცდება შეერთებული შტატები, დაეხმაროს საქართველოს მის ათვისებაში. ქართული ფლოტი იქმნება ამერიკის დახმარებით! ამ დახმარებაში მოიაზრება ისიც, რომ ჩვენს ქვეყანას ისინი სამხედრო ხომალდებსაც აჩუქებენ — არა ერთს! მომავალში ვხედავ, რომ საქართველოს წყლებში შემოყვანილ ამერიკულ გემებზე ქართული დროშები იფრიალებს, ანუ, ყველა გემს, ერთიც რომ არ დააკლდება, ამერიკელები საქართველოს დაუტოვებენ; თუმცა არც თავად ნავლენ შორს. რალაც პერიოდში ვხედავ უკრაინისა და საქართველოს გაერთიანებას შავ ზღვაზე. აი ეს კი უკვე არის რუსული ფლოტის პარპაშის დასასრული შავ ზღვაზე. რუსეთი უძღური ხდება, ვინაიდან უკრაინა-საქართველოს ფლოტი რუსეთის ფლოტის ტოლფასია და მას დიდი შანსი ექნება გაუმკლავდეს რუსეთს მომავალში. არ დამაინყდეს ძალზე მნიშვნელოვანი რამ — საქართველოს წყალქვეშა ნავიც კი ეყოლება! ზღაპრად ნუ მოგეჩვენებთ ეს წინასწარმეტყველება. ეს რეალურია და ამაში ყველა თავად დარწმუნდება. საქართველო ძალებს მოიკრებს, გაფართოვდება ქართული ფლოტი და ძლიერ ფესვებსაც გაიდგამს შავ ზღვაზე!

ეს ახალი წინასწარმეტყველებები არაა, თითოეული ეს სიტყვა გასულ წლებშია წარმოთქმული და დაბეჭდილიც ჩემს გაზეთებსა და წიგნებში.

— სხვათა შორის, ჩვენი მკითხველები ამ ბოლო დროს ისეთი თემატიკითაც დაინტერესდნენ, რომლებიც საქართველოს არამხოლოდ მომავალს, არამედ მის წარსულს, ისტორიას ეხება. ეს განსაკუთრებით ისეთი საკითხებია, რომლებზეც, ქართველთა გარდა, მრავალ უცხოელ მეცნიერს უმუშავია წლების მანძილზე, მაგრამ საბოლოოდ დასკვნა ჯერ კიდევ არ დადებულია. საუბარია, მაგალითად, ფესტოს დისკზე. საზოგადოებას აინტერესებს, რამდენად მართებულია ვერსია იმის შესახებ, რომ ფესტოს დისკის წარწერა ქართველურ ენაზეა შესრულებული და ოდესმე თუ მოხერხდება მისი წარმომავლობის მეცნიერული დასაბუთება?

— ეს წარწერები შესრულებულია მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ანბანით, რომელიც აუცილებლად გაიშიფრება და დადგინდება, რომ ის სწორედ ქართველური ანბანია!!! ეს ზუსტად ისე ასრულდება, როგორც ვამბობ. ამ ანბანის გასაღები თავად დისკზეა და მას აუცილებლად მიაგნებენ მეცნიერები, ოლონდ ამას ცოტა სხვა ტვინი სჭირდება, სხვაგვარო, ასე ვთქვათ, მიდგომა.

— ქალბატონო ლელა, არ ვიცო, აქვს თუ არ მნიშვნელობა ამას, მაგრამ საინტერესოა, ფესტოს დისკის გაშიფრვას ქართველები შეძლებენ თუ უცხოელები?

— ქართველები! და იცით, რას აღმოაჩენენ? რომ დისკზე დატანილია კოსმოსიდან წამოსული ინფორმაცია! შედარებისთვის: აი, როგორც მე ვიღებ ინფორმაციას კოსმოსიდან, სწორედ ისეთი რამაა მასზე ამოტვიფრული, რაც ხალხს უნდა სცოდნოდა. ეს იქნება დასტური კოსმოსთან ურთიერთობისა, ანუ იმისა, რომ კოსმოსს ნებისმიერ დროსა და ეპოქაში აქვს უწყვეტი კავშირი დედამიწასთან.

— რამდენად მნიშვნელოვანი შინაარსისაა ეს ინფორმაცია?

— ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან. ეს არის დასტური დედამიწაზე სიცოცხლის გაგრძელები-

სა და კიდევ, ცოტა მიჭირს, სახელი დავარქვა იმას, რასაც ვხედავ, მაგრამ ეს წარწერა არის რალაც სწავლებისმაგვარი, თითქოს დარიგებასავით, რომ არის დედამიწაზე რალაც ისეთი, რასაც ადამიანი არ უნდა შეეხო.

— ქალბატონო ლელა, ამერიკის რესპუბლიკურმა პარტიამ პრეზიდენტს საქართველოსთვის იარაღის ოფიციალურად მიყიდვის კანონპროექტი წარუდგინა. ყველა ელოდა, რომ კრემლი ამ ამბავს ყურს მიღმა არ გაატარებდა და ყალყზეც დადგებოდა, მაგრამ, ყველასათვის მოულოდნლად, რუსეთი დუმს. რატომ — ეს ვერავის გაუჩვენია.

— რატომ და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. რუსეთში ახლა ძალიან დაძაბული მდგომარეობაა, ხალხი ქუჩაშია გამოვარდნილი, რევოლუციის სუნი ტრიალებს ჰაერში, პუტინ-მედვედევის რეიტინგი საშინლად ეცემა და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. მოკლედ, თავისი თავი გასჭირვებია რუსეთს. ახლა მათ, შეიძლება ითქვას, რომ მთავრობა აღარც ჰყავთ, იმიტომ, რომ მთავრობის წევრები თანამდებობებიდან გარბიან და ისეთი ამბავია, აღარც აფხაზეთი აინტერესებთ, აღარც სამაჩაბლო და აღარც ჩრდილოეთ კავკასია. ამასთან, კრემლი ორ ცეცხლსუაა მოქცეული. ერთი მხრივ აქეზებს ირანს ამერიკის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, შიშისგან თრთის თავად ირანული საფრთხის წინაშე, იმიტომ, რომ უკვე გაიაზრეს, რომ ეს სახელმწიფო ბევრს არ იფიქრებს, რუსეთს ისე დაარტყამს. ამიტომ უკვე დიდად აღარც ეწინააღმდეგებიან ამერიკას საქართველოში პლაცდარმის შექმნის საქმეში ირანული საფრთხისგან დასაცავად.

რაც მთავარია, კრემლმა მშვენივრად იცის, რომ ამერიკა ჩუმად, ყოველგვარი ოფიციალური კანონის გარეშეც მშვენივრად აიარალებს საქართველოს. აქამდე ვერაფერს გახდნენ, ვერ აუკრძალეს ეს შეერთებულ შტატებს და ახლა, როცა საშიშროება მესამე მსოფლიო ომისა უსაზღვროდ დიდია და მოახლოებული, სხვა გზა არც რჩებათ, გარდა იმისა, რომ გაჩუქდნენ.

— ესე იგი, არც სცალიათ და არც ხელს აძლევთ ამ თემაზე ყვირილი?

— დიახ. თანაც, იარაღი მაინც შემოვა და რადარებიც მაინც განთავსდება საქართველოს საზღვრებზე, ვინც არ უნდა იბრძოლოს ამის წინააღმდეგ.

— ქალბატონო ლელა, გაზეთის საიტზე და ელ-ფოსტაზე უამრავი საახალწლო გზავნილი შემოვიდა თქვენს სახელზე. ადამიანები უზომო სიყვარულსა და მადლიერებას გამოხატავენ თქვენი მისამართით. თუმცა, იყო კიდევ ერთი მილოცვა... თუ შეიძლება ასე ითქვას, ჰაკერული მილოცვა. ჩვენი საიტი კიბერშეტევის მსხვერპლი გახდა — არა პირველად. უცნაური ეჭვები მიჩნდება...

— სულ ტყუილად. ეს არის ჩვეულებრივი, რიგითი ბოროტება, რომელიც თავად კავკასუს ონლაინის ერთმა რიგითმა თანამშრომელმა ჩაიდინა. ძალიან სასაცილოა, მაგრამ ვხედავ, რომ არც ისეთი კომპიუტერული გენოსია ეს პიროვნება, შემთხვევით გამოუვიდა. მე ვურჩევ კავკასუს ონლაინის ხელმძღვანელობას, თავად დაინტერესდნენ და იპოვონ ჩემი საიტის გამთიშველი და შესაბამისი ზომები მიიღონ, თორემ დიდი პრობლემები შეექმნებათ. მის მსგავსებს ხელფეხი გაეხსნებათ და ბევრ სხვა კლიენტსაც შეუქმნიან პრობლემებს, რაც საბოლოოდ იმით დამთავრდება, რომ კომპანია მოხმარებულს დიდი რაოდენობით დაკარგავს და ერთ დღესაც არ დაიხურნენ, ფრთხილად იყვნენ.

სხვათა შორის, მე არანაირ პრობლემას არ მიქმნიან ეს ჰაკერები და არც მანერვიულებს მაგათი გამოხტომები. წინასწარმეტყველებების ასრულება საიტის გატყვევით არ იბლოკება. ეს ნონსენსია! საიტი უკვე აღვადგინეთ და ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს, აი იმას კი, ვინც ეს ბოროტება ჩაიდინა, პასუხი აუცილებლად მიეთხოვება. ძალიან ხომ არ გაუჭირდება ვინმეს, თუ ვიტყვი, რომ მისი დამსჯელი არა მე, არამედ თავად კოსმოსი იქნება? იმ საცოდავს, არც განათლება აქვს საკმარისი, არც წიგნიერებათ გამოიჩინება და არც სალად აზროვნებით, ამიტომ ვერ გაუგია, რას შეებრძოლა და რას ალუდგა წინ. მეცოდება, მაგრამ ვერაფერს ვუშველი. ყველა აგებს პასუხს საკუთარ ქმედებაზე.

— თქვენ ყოველი ახალი წლის დასაწყისში წინასწარმეტყველებების ჩასაწერად ახალ, სქელტანიან რეგულს იღებთ ხოლმე და პირველ რიგში ერთგვარ საერთო მონახაზს აკეთებთ. მე ვიცი, რომ ამ წლის ჩანაწერები ლექსით დაიწყეთ.

— დიახ, ლექსით დავიწყე. ეს ჩემი კაპრიზი, რა თქმა უნდა, არ არის. უბრალოდ, ხედავ ასე ნამოვიდა. აი, ისიც:

აირია შემოდგომა, მზემ იცვალა ფერი, ზამთარში კი თოვლის ცვენას ვეღარ ეღირსები. გაზაფხულზე აღარ ისმის ტოროლების სტვენა, მერცხლის ბუდეც მოიშალა, გაქრა დედაენა.

(გაგრძელება გვ.4)

მთავარი რედაქტორი: ირმა გელაშვილი
გაზეთი რეგისტრირებულია ვაკე-სააზრობის რაიონულ საგადასახადო ინსპექციაში.
გაზეთში და ვებგვერდზე გამოყენებული მასალები და ფოტოები გადამამუშავდა-გამომცემმა რედაქციის თანხმობის გარეშე აკრალულია. საავტორო უფლებები დაცულია.
www.lalakakulia.ge / ელ-ფოსტა: lalakakulia@yahoo.com

კოსმოსში დრო არ არსებობს!

„წინასწარმეტყველება არ იცის შვილი და ძმარი, ახლოელი და მეგობარი. ჩვენ ვამბობთ იმას, რასაც ვხედავთ და გვეუბნებიან... მიიღეთ ისა, ჩოპორს ვწინასწარმეტყველებ!“

ლელა კაკულია

2011 წელი, 24 ნოემბერი, თბილისი.

ყოველთვის ვხედავდი, რუსეთი თითქმის მთელი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს რომ დაიპირისპირებდა და ამ თემაზე უამრავი წინასწარმეტყველება ჩვენზე წლების განმავლობაში. დღეს კი ეს ყველაფერი სახეზეა!!!

საბჭოთა კავშირის რუსეთის პრემიერი ვერ აღადგინა! წარსულში წარმოთქმული წინასწარმეტყველება, რომ რუსეთი მოინდობდა საბჭოთა კავშირის აღდგენას, მაგრამ ეს არ მოხდავალა, სრულდება.

ვხედავ, რომ კალინინგრადში რაკეტების განლაგება კიდევ უფრო დიდ და სერიოზულ მიზნებს უკავშირდება. კალინინგრადი, ყოფილი კენინსბერგი, რომელთანაც რუსეთს სახმელეთო საზღვარი არ აქვს — მხოლოდ ბალტიის ზღვით უკავშირდება — მოითხოვს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიაროს! ეს ყოველთვის სურდათ კალინინგრადელებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, რუსეთის მთავრობა ამაზე არასდროს ნავა. დღეს კი, როცა ქვეყნები იცვლებიან და არის ერთი ორომ-ტრიალი დედამიწის ყველა კუთხეში, კალინინგრადის მოთხოვნა ძალიან მისაღებია.

შედავ, ასევე სპირალოვსკის ოლქი — ურალის უმსხვილესი რეგიონი - იმავის იტორს. თუ აფხაზეთი და საბაჩალო, ასე ვთქვათ, არასრული სახელმწიფოები, ალიაბათი, ჩვენ — უფრო სრულყოფილი მხარე, რატომ არ უნდა გვაღიაროთ? ან ეს კი დიდი თანასაბაძო თემაა რუსეთის მთავრობისთვის. რუსეთს, გირჩევთ, ამ საკითხს ნუ ვხედავთ მსუბუქად ეს უფრო დიდი პრობლემაა თქვენთვის მომავალში, შედავ, ვიღაც ჩრდილოეთ კავკასია!

ვხედავ, დაინწყება გამოსვლები, ხალხი დიდ მიტინგებს მოაწყობს ლოზუნგებით, რომ ეს ტერიტორია რუსეთს საერთოდ არ ეკუთვნის. მოკლედ, ყველაფერი ირევა. ეს ძალზე სერიოზულია!!! არჩევნები — მნიშვნელოვანი სამიზნე პრემიერ-მინისტრისთვის! დაპირისპირება ევროპასთან, ნატოსთან, ამერიკასთან — ეს დიდი საშიშროებაა რუსი ხალხისთვის და ასეთი სირთულის გადაწყვეტა მხოლოდდამხოლოდ მას, პრემიერს შეუძლია, ანუ შეუძლია დაიცვას თავისი ხალხი და ქვეყანა, თუნდაც ეს ომის ფასად დაუჯდეს! მითუმეტეს, რომ ომებისას მას არ ეშინია. ამის მაგალითები მრავალია წარსულში — ჩრდილოეთ კავკასია, საქართველო და ა.შ. მაგრამ მომავალში, ვხედავ, ასე არ იქნება. ეს ევროპა და ამერიკა და არა ჩვენთვის, დღესდღეობით ან საქართველო! ფრთხილად! რუსეთი დღეს არცისე ძლიერია, რომ ასეთი საშიში პოლიტიკა გაატაროს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან. ვხედავ, რუსეთი იშლება, იშლება მთავრობაც მომავალში სრული შემადგენლობით და კიდევ ომი, და თანაც ვისთან — ნატოსთან?! მითუმეტეს, რომ ვხედავ, არც ამერიკა და არც ევროპა დათმობას არ აპირებენ არცერთ შემთხვევაში!

ასე რომ, იწყება დიდი, სერიოზული და საშიში პოლიტიკური თემა და შედავ, რომ რუსეთი ამისთვის ვხად არ არის!

სიტყვების კორიანტელს მალე მოჰყვება მოქმედებებიც! რუსეთი ზღვარს გადაცდა. ხალხი, ვხედავ, ნამდვილად გარეთ, ქუჩაში გამოდის, ხალხს ცვლილებები სჭირდება მთავრობაშიც და მთლიანად ქვეყანაში!!! და ცვლილებები, ვხედავ, აუცილებლად იქნება. ძველი ნომენკლატურა საერთოდ იცვლება. იცვლებიან პარლამენტში — დუმაში, იცვლებიან სახელმწიფო სამსახურებში, იცვლებიან მთავრობაში... მხოლოდ ერთი კაცის გარდა — ეს პრემიერია. არის ქაოსი და არეულობები. ეს არის დემოკრატიის ის გზა, რაც

რუს ხალხს სჭირდება! — აცხადებს პრემიერი. ამავდროულად რუსეთის ტერიტორიებია დასაცავი. ირგვლივ ყველგან სირთულეა — ყველა საკითხში. რუსეთს ზურგზე უამრავი ვალდებულებები აქვს აკიდებული, რომლებიც მას ბოლოს მოუღებს.

თუ არ მოიშორებს ეს, რასაც ჰქვია არასაბჭოთა პოლიტიკური ტვირთი — კავკასია, პირველ რიგში, აღმოსავლეთის მხარე, კურილის კუნძულების ზამო იახონასთან დიდი პოლიტიკური ომები, უკრაინა და რომელიმე ერთი ვითება კიდევ — რუსეთს უდიდესი სირთულეები ელის მომავალში.

უპირველესად, ევროპასა და ამერიკასთან ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაა საჭირო!!! ასევე აუცილებელია ახალი საზღვრების გავლება იმ მიწებზე, რომლებიც რუსეთს რეალურად ესაჭიროება. ეს იქნება სრულიად ახალი, სლავეების ნამდვილი სახელმწიფო!!!

2011 წელი, 2 დეკემბერი, თბილისი.

ჩემი სამშობლო, ქართლი — სამაჩაბლო! ეს მიწები ქართული სულით არის გაჟღენთილი, იგი არასდროს ყოფილა და არც იქნება სხვისი. მისი დღევანდელი სახელწოდება — სამხრეთ ოსეთი — კოსმოსში არ არსებობს! საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ძირძველ ქართულ ტერიტორიას დაუბრუნა თავისი ნამდვილი სახელი სამაჩაბლო, ხოლო საქართველოს პარლამენტმა შემდეგ აღადგინა დამპყრობელი ერის მიერ შერქმული სახელი სამხრეთ ოსეთი. და ამის შემდეგ კიდევ აქეთ ადებენ ვალს საქართველოს და გენოციდში ადანაშაულებენ!

შედავ, საბაჩალოში ვერავინ მოიპოვებს ვახს. მუდმივად იქნება ომები და დაპირისპირებები რუსებსა და ოსებს შორის, საპატრიოტ ოსებს შორისაც და ისინი არასდროს დაწყნარდებიან.

ვხედავ, ყველას შიში მოიცავს. მათი გონება, ბოლოსდაბოლოს, ხვდება, რომ ეს მათი ერისთვისაც და სხვებისთვისაც დანაშაული ტერიტორიებია. ხალხი გარბის. არავის სურს ქართულ მიწაზე ცხოვრება! ეს ყოველივე სიმართლეა. დაიჯერეთ, ბატონებო:

ქართული სული უცხო ტომებს, უცხო ენებს არ გააბაძანებს ქართულ მიწას! ისინი ვერასდროს დასაწყობდებიან. დიას, ისინი საფლავებიდან აღდგებიან და ცოცხალთ დაუპირისპირდებიან. დიდი შიში მოიცავს დააყრობი ტატიტორიას და შედავ, ქართულ მიწას დატოვებენ მოკალადავები. ქართველთა, ეს არ არის ზღაპარი. ეს ასაროცნებიანი სიბრძნეა და ახას ყველა იხილავთ!

არ შეიძლება სხვისი მიწების მითვისება! ეს კოსმოსის კანონია და თუკი ვინმე მას დედამიწაზე დაარღვევს, დიდ სატიკვარსა და დიდ ომებს მოუვლენს კოსმოსი დამპყრობელ ხალხებს. ისინი მუდმივ შიშსა და უიმედობაში იცხოვრებენ და ბოლოს მაინც დათმობენ და მოშიორდებიან დასაკუთრებულ ტერიტორიებს. ქართლი — სამაჩაბლო კი საქართველოს უძველესი კუთხეა. ფრთხილად, შადიმანებო, თქვენც დაისჯებით! ვხედავ, მომავალში ისტორიულ ფაქტებს დაალაგებენ არამხოლოდ სამაჩაბლოზე, არამედ საქართველოს ყველა კუთხე-კუნძულზე — ტრაპიზონიდან დარუბანდამდე. ამოიღებენ რეალურ ფაქტებს, სინამდვილეს, მთელი ქართლის ცხოვრებას, აღინერება სრულიად საქართველოს ისტორია, გადითარგმნება ყველა ენაზე და ეცნობება მთელ მსოფლიოს. ყველაფერი სრულდება ასე პროცენტით!

როცა ვამტკიცებდი, არქეოლოგიური გათხრები დაანახებდნენ მთელ მსოფლიოს, რომ საქართვე-

ლო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა-მეთქი, ძნელად მიჯერებდნენ მაშინ, დღეს კი ეს ყველაფერი ასრულდა. დიას, წინასწარმეტყველებები ყოველთვის სრულდება.

გავაცნოთ ჩვენი საყვარელი სამშობლო მსოფლიოს ხალხებს, მათ მშობლიურ ენებზე ნავაკითხოთ საქართველოს ძველი და ახალი ისტორია. ვხედავ, რომ ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვება ამ ყოველივეს. ნუ გგონიათ, რომ საქართველოს ისტორია ღრმად იცინა.

ბაიხსნება არაქვები მსოფლიოს ყველა კუთხეში — სადაც კია საპატრიოტოლს შესახებ დოკუმენტები დაცული. იმ არაქვების კი დაგვიშვებენ, რომლებსაც ქართველებს მანამდე არ გვაპარავდნენ და ეს იქნება სენსაციია!!! რატომ არ გვიშვებენ ჩვენს წარსულთან? იმიტომ, რომ ვერავინ მოიპოვებს ვახს საპატრიოტოლს, ისტორია, კულტურა და არ სურთ გაცხადდეს ფაქტები იმისა, რომ ჩვენ — ქართველები — ვართ ზარი!

მაგრამ ეს ფაქტები მაინც ამოტივტივდება და ბევრ რამეს ახდის ფარდას. დიას, ეს ბევრ სახელმწიფოს ძალიან არ აწყობს, მაგრამ კოსმოსს წინ ვერავინ დაუდგება!

დედამიწაზე ჩვენ — ქართველები — ვართ ყველაზე მამაცი, მეტროლი, სამშობლოს მოყვარული, ლამაზი, სტუმართმოყვარე, დიდი ტრადიციების მქონე ერი და კოსმოსშიც ზეციური საქართველო პირველ ადგილზეა. ეს ასეა, მერწმუნეთ. ზუსტად ამაზე, ამ თვისებებზე გადაარჩინა და აქამდე მოიყვანა პატარა საქართველო, რომელიც მუდამ იყო და იქნება მომავალშიც.

ჩვენი მტერი ყოველთვის მარცხდება და დაკარგულს ყოველთვის უკან ვიბრუნებთ. ასე ვიბრუნებთ აფხაზეთს, სამაჩაბლოს და არამხოლოდ მათ.

რაც არ უნდა გვიკარნახოს ამერიკამ თუ ევროპამ, რაც არ უნდა მოიმოქმედოს რუსეთმა, ყველაფერი მაინც კოსმოსში წყდება და თანაც, ვხედავ, საქართველოს სასარგებლოდ! დიას, ვხედავ, საქართველო პატარა სამოთხეა დედამიწაზე მომავალში და იგი მტრისაგან დაცულია და ხელშეუხებელი! ამინ!

რაც მთავარია, ქართული კულტურის ძეგლების აღდგენა იწყება მასშტაბურად. ძველი ეკლესიები აღდგება და დამშვენდება, არც ერთი არ დარჩება აუშენებელი. ეს ყველაფერი ბოლომდე ასრულდება.

დღეს კი ის, რაც ხდება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, ეს ყველაფერი დროებითია. ვხედავ და ვიმეორებ ასჯერ დანახულს: ქართველები თავის მიწებს, სახლ-კარს უბრუნდებიან. სიტყვა ლტოლვილი აღარ იქნება საქართველოში. ხოლო ისტორია მაინც იტყვის სიმართლეს, განსაკუთრებით, საქართველოსთან მიმართებაში.

აი ოსები კი... ოსები საკუთარ ენას კარგავენ. აი, ნახავთ. ისინი მშობლიურ ენაზე აღარ საუბრობენ, მხოლოდ რუსულად ლაპარაკობენ. დრომ თავისი გაიტანა და ნელ-ნელა კარგავენ საკუთარ ეროვნებასაც. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ამ პროცესს ვერავინ ვერ შეაჩერებს. ეს ოსებმაც იცინა, მაგრამ ყურმოჭრილი მონებივით მიყვებიან რუსულ პოლიტიკას.

რუსეთისთვის ჩრდილოეთ ოსეთი ერთი ჩვეულებრივი რუსული — დიას, რუსული — რეგიონია, რომელიც უკვე მალე ბოლომდე დაივწყება საკუთარ ენას და არამხოლოდ ენას, არამედ ეროვნებასაც და მომავალში რუსებად ჩვენებებიან — ეროვნება: რუსი.

ჩვენი ხედვით ყველაფერი ძალიან სწრაფად მიდის ოსების გარუსებისკენ. ა კუდა იმ ძეგლია? — აბა, სად წავლენ? ასე ფიქრობენ რუსები და ასეც არის სინამდვილეში.

დღემთა უშველო!

ის ტალღა, რომელიც აგორდა რუსეთში, რევოლუციას კი არ ჰგავს, უკვე არის რევოლუცია! დღევანდელი მთავრობა ისევ განაგრძობს

დახს, ეს ქალაქი ხომ რევოლუციების აკვანია!!! პეტერბურგის მთავრობაშიც არეულობა იქნება. პრემიერის ხალხი გარბის თანამდებობებიდან თავის გადასარჩენად. ვხედავ, ტელევიზიებიც დაინწყებენ მოვლენების გაშუქებას. ყველაფერი ერთიანად აირყვას! ოპოზიციის მცდელობა, რომ ხალხი მარ-

მთავრობას, რომ გადადგეს, რომ სწორი პოლიტიკა გაატარონ, თუმცა, თვითონვე ხვდება, რომ მაინც ვერაფერს გააგებინებს! ისიც კარგად იცის, რომ ხალხი აღარ დაიშლება, რომ მალე იფეთქებს რევოლუცია. გორბაჩოვმა არჩევანი გააკეთა — ხალხის მხარს იჭერს, მთავრობას კი ვერაფრით დაესმარება! მიხეილ გორბაჩოვი ძალიან დიდ როლს თამაშობს, მაგრამ არა მთავრობის სასარგებლოდ. მან საბჭოთა კავშირი იმიტომ კი არ დაშალა, რომ ამ ორმა ჩინოვნიკმა — პრემიერმა და პრეზიდენტმა — ალაღვინონ, თავიდან შექმნან იგი! ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს ეს არ სურთ და ბრძოლისთვისაც მზად არიან! რუსეთს კი სამხედრო ხაზით საკმარისი რესურსები არ აქვს, რუსეთი დაშლის გზაზეა და უამრავი პოლიტიკური ჩავარდნები აქვს, რომლებმაც ეს ქვეყანა რევოლუციამდე მიიყვანა!!! აქ აღარ არის ძლიერ დერჟავაზე ლაპარაკი. პირიქით, რუსეთის სახელმწიფოს გადარჩენაზეა საქმე მომავალში ჯერ პრემიერისგან და მერე საგარეო პოლიტიკაში.

არენაზე ჩნდება მიხეილ გორბაჩოვი. იგი ცდილობს რუსეთს რევოლუცია აასწილოს და ირჩევს სწორ გზას, ანუ რუსი ხალხის გვერდით დგება. გორბაჩოვი მოუწოდებს მთავრობას, რომ გადადგეს!

კომერციულ საქმიანობას, იგივე პოლიტიკური კურსით მიიწევს წინ. საით? ვხედავ, არსაით! ვხედავ, უფრო მეტი ხალხი ემატება მიტინგებს. მთავრობაც ვეღარ უწევს წინააღმდეგობას და მომიტინგეების მოთხოვნებს იძულებით, მაგრამ მაინც აკმაყოფილებენ. ვხედავ, სხვა გზა აღარ რჩებათ. ძალის გამოყენება ძალიან საშიშია, მაგრამ მთავრობა ამაზე მაინც წავა და ეს იქნება მათი დასასრულიც!

პრემიერი განრისხებულია, როგორ გაუბედეს?! ვხედავ, რუსი ხალხისთვის მიუღებელ ბრძანებებს იძლევა — რაც უკვე განწირული ადამიანის ქმედებებია — თუმცა, ვხედავ, რომ მას შემსრულებლებიც არავენ ეყოლება!!! ვხედავ, მთელი რუსეთი აღდგება პრემიერის წინააღმდეგ. იგი ბოლომდე იბრძოლებს, თუმცა, ეს ბრძოლა რომ წაგებულა აქვს, თვითონაც ძალიან კარგა იცის, მაგრამ დათმოს ძალაუფლება, არ სურს. ამას, ვხედავ, რომ სიკვდილი ურჩევნია! მაგრამ ხალხი რომ გარეთ გამოვა, მათ სახლში ვეღარ შერეკავ. ასე მოხდება ასე პროცენტით.

მოკლედ, დღეს, ვხედავ, რომ რუსეთში რევოლუცია დაიწყო — ნამდვილი რევოლუცია. პრემიერის ყველა მცდელობა წამგებინა, არაფერი გამოდის. როგორც ადრე ალვინშენი, ახლობლებიც კი შემოეცლებიან, ბევრი დატოვებს მის გუნდს. დაიხს, ეს ადრეც ვინიანსარმეტყველე, დღეს კი ამ ყველაფერმა რეალური სახე მიიღო. ვხედავ, იბადება ახალი რუსეთი, ნამდვილი სლავური რუსეთი! ამას მთელი მსოფლიო იხილავს!!!

რუსეთი იბრძვის უკეთესი მომავლისთვის, დემოკრატიისთვის, თავისუფლებისთვის, ვინაიდან მთელი რუსეთი პრემიერს დიქტატორად მიიჩნევს და ამას გაჰყვიროს ხალხიც! კრემლის ბინადართათვის ყველაფერი თავდაყირა დგება, ვხედავ. მათი გეგმები იფუშება, ასრულება არ აწერიათ. ეს, უბრალოდ, შეუძლებელია, ვინაიდან, ვიმეორებ, მთელი რუსეთი მიტინგებზე გამოვა. ვხედავ, განსაკუთრებით პეტერბურგი იაქტიურებს.



რევოლუციები, რა თქმა უნდა, რუსეთს დიდ დარტყმას მიაყენებს, მაგრამ რასაც მთავრობა გააკეთებს, ეს გამოიწვევს ძალიან დიდ აღელვებას ხალხში. ვხედავ, მთავრობა ყველაფერზეა წამსვლელი — საკუთარი ხალხის დახვრეტაზეც და უარესზეც, ოღონდ მათ წინააღმდეგ მიმართული სასიკვდილო ტალღა როგორმე შეაჩერონ და ძალაუფლებაც შეინარჩუნონ! მაგრამ ისინი — პრემიერი და მისი მომხრეები — წააგებენ!

მიხეილ ალვინშენი, რომ მათი პირველი მხარი მიხეილ გორბაჩოვი იქნება. მასაც აპყვავს მოთმინების ფიალა, მითუმატის, რომ მთავრობა სასიკვდილო დარტყმას აყენებს საკუთარ ხალხს, მთელი სისასტიკით უსწორდება და ასევე ცდილობს, ალაღვიოს ის ფეოდალიზმი, რომელიც საშუალოდ დაასამარებს დიდ რუსეთს, რუს ხალხს. აი ამიტომ მიხეილ გორბაჩოვი ვერ შეასრულავს იმ მიზანს, რისი იმედით მთავრობას ჰქონდა! ისინი ერთმანეთს დაცვილიყვანენ. გორბაჩოვი, ვიმეორებ, ხალხთან რჩება — თავის ხალხთან და ხალხიც აყვავებს მას. გორბაჩოვი ლაშის ოპოზიციის ლიდერად გვევლინება. იგი უმარგაბა თავის ხალხს და არა მთავრობას!

ვხედავ ცნობილი პიროვნებების სიკვდილს. ასევე ისეთ სიკვდილსაც, რაზეც ხალხი იტყვის, რომ ეს მკვლელობა იყო! ვხედავ, გამოჩნდებიან ახალი ძალები, რომლებსაც რევოლუცია შექმნის, ასევე პოლიტიკოსებიც. ეს ძალიან კარგი ნიშანია რუსეთისთვის — ახალი ძალები, ახალი სახეები პოლიტიკაში და ყველაფერი შეცვლილი სახით. მთავრობა — პრემიერი, ვხედავ, ასე პროცენტით წააგებს. ფრთხილად, რათა ხალხმა არ გაასამართლოს იგი მისი ამდენი სიბოროტისთვის, რაც მოიმოქმედა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

იმ პარტიებს, რომლებიც ორმაგ თამაშს თამაშობენ დღეს, არც მათ აპატიებს ხალხი. ასეთი პარტიები, ვხედავ, რომ დატოვებენ პოლიტიკურ სარბიელს. მოდიან სულ სხვა ძალები! ვხედავ!!!

(გაზარდალმა შინაგან წინააღმდეგობით)

(დასაწყისი გვ.2)

შეიცვალა დედამიწა, შეიცვალა ფერებიც, დღე და ღამეც, თოვლიც, წვიმაც — საით მევექანებით? აირია ყველაფერი, აირია ფერები, მხოლოდ საქართველო დარჩა შეუცვლელი ფერებით. ლამაზია ჩემი მხარე — საყვარელი ქვეყანა, ღმერთსაც როგორ ყვარებისარ, ჩემო კარგო ქვეყანა?! ამ ბუნების დიდ ტრიალში ბევრი რამე ვნახე, დინოზაურები დარბიან, ბეჭემოტებს კლავენ. მაგრამ ვხედავ, დედამიწას არსად ეჩქარება, არც ფერს იცვლის, არც ცას წყდება და არც მზე არ ქრება. ვეჯახებით, გვეჯახება — ესეც სიცრუეა, დედამიწა მუდამ იყო, აგერ, ახლაც ვხედავ. დაიმსხვრევა? — თუკი მკითხავთ, გეტყვით, რასაც ვხედავ, დროა უკვე, რომ გამოჩნდეს ადამი და ევა. საზარელი მხეცის სახით კაცთა მოდგმას ვხედავ. დედამიწა შეარყიეს და უცვალეს ფერი, ვხედავ, როგორ გადაბუგეს ქვეყნად ყველაფერი. დროა უკვე, რომ გამოჩნდეს ჩვენი უფლის ხელი, გადარეცხავს, გადაარჩევს ბოროტსა და კეთილს და სიცოცხლე გაიმარჯვებს, კარგად ვხედავ, ვიცი, აწმყოდან ამ მომავალში ჩვენ მოვდივართ, იცით? ვიცი, ვიცი, კარგად ვხედავთ, ყველაფერი ვიცი!

ციტატები * ციტატები * ციტატები * ციტატები * ციტატები * ციტატები



აი, კონსტიტუციის გარანტი, უმაღლესი მთავარსარდალი, ევროპასთან ძალიან ახლოს რაკეტას დგამს. ამ ფოტოზე ჩანს ზეთანამედროვე სამამულო იარაღის მთელი ძალა, ასევე მოდერნიზაცია და ტექნიკური პროგრესი, მაგრამ არის ერთი მაგრამ: საქართველოს საზღვრები ამ რუკაზე ისე გამოიყურება, როგორც ეს მიღებულია მთელს მსოფლიოში ნაურუს, ვენესუელასა და რუსეთის გარდა. ან რუსეთი არ ცნობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, ან მთელმა მოდერნიზებულმა არმიამ არ იცის რუკების

შეცვლა და მათი გამოყენება. ისმის კითხვა: თუ ჩვენს სამხედროებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ბირთვულ რაკეტებზე, არასწორი რუკები აქვთ, შეძლებენ კი ისინი ამ რაკეტების სწორი მიმართულებით გაშვებას?! სამწუხაროა, რომ ფოტოზე არ ჩანს, თუ რა საზღვრები აქვს სავარაუდო მონინააღმდეგის ტერიტორიას. იქნებ, ვთქვათ, ალიასკაც მეფის რუსეთს ეკუთვნის?

დმიტრი ალექსანდროვი, რუსი ფოტოგრაფი.



ზუბაიკო რომ მოვა პრაზიკადავ, მაშინ ყველაფერი დაწყდება რუსეთის და საქართველოს!

დღეს ბევრს მსჯელობენ და დავობენ კიდევ წინასწარმეტყველებებსა და ნათელმხილველებზე. ადამიანთა უმრავლესობის ცნობიერებისათვის ეს ჯერჯერობით მინც ტაბუდადებული სფეროა. ალბათ, ეს განაპირობებს, რომ ადამიანთა გარკვეული ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი მსგავსი ფენომენის მიმართ, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოურ სივრცეში, რაც არც არის გასაკვირი. ჩვენ ხომ ნაკლებად მიგვიწვდებოდა ხელი საუკუნეების განმავლობაში დაფიქსირებულ ინფორმაციაზე, რომელიც სწორედ ამ ფენომენს შეეხებოდა. მაგრამ ადამიანთა ქვეცნობიერი ინტერესი ამით ვერ აღმოიფხვრა. წინასწარმეტყველებანი, ხილვები, დადებითი და უარყოფითი ენერგიები, ბიოველი, ასტრალი, აურა — ეს ყველაფერი მისტიკით შემოიფარგლა და ხშირ შემთხვევაში ადამიანები ამ ინტერესსა და ლტოლვას ყოველივე ბუნურსით მოცულსა, ბიბლიის არცოდნის გამოც, ხშირ შემთხვევაში ჯადოების კეთებით თუ კარტსა და ყავაზე მკითხაობით იკმაყოფილებდნენ. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება, მაშინ, როცა არამხოლოდ ინფორმაციას ვფლობთ და ბევრი სასწაულის მომსწრენიც გავხდით, არამედ ჩვენს გვერდით არიან ადამიანებიც, რომელთაც ხელში სწორედ ამ ტაბუდადებული სფეროს გასაღები უჭირავთ. მაგრამ ჩვენ — ქართველებს, ხომ იმ სასწაულებსა უფრო გვჯერა სამწუხაროდ, რაც საზღვარგარეთ ხდება და იმ ნათელმხილველებზე გვირჩევნია საუბარი, რომლებიც ჩვენგან შორს არიან და თვალისაღწევა არ გვინახავს. ამ დროს გვაფიქვამს, რომ აქვე, თბილისში, ჩვენს გვერდით ცხოვრობს სამი შვილის დედა, 45 წლის ლელა კაკულია, რომლის ბევრი ხილვა უკვე ახდა კიდევ.

ქალბატონო ლელა, საიდან დაიწყო ეს ყველაფერი?

— საიდან დაიწყო და ჩემი დაბადებიდან, დედის მუცლიდან.

პირველი ხილვა როდის გქონდათ?

— პირველი სერიოზული ხილვა, რეალურად 12 წლის ასაკში მქონდა. 12 წლამდე კი ყოველთვის მქონდა მიდრეკილება უცნაურობებისაკენ. მიყვარდა ადამიანების სახეში ცქერა, განსაკუთრებით, თვალბუკში. ამით ინფორმაცია მესწავებოდა მათზე. როცა კვებაში ვუყურებდი ვინმეს, ერთი წუთიც არ იყო საჭირო, შემობრუნდებოდა და შემომხედავდა. როცა დედაჩემს ქუჩაში მიყავადი, უცნობ ხალხს ვაშტერდებოდი, ვათვალისწინებდი და ინფორმაციას ვიღებდი, ვინ იყო ცუდი თუ კარგი. სულ ჩხუბი იყო ამაზე — ლელა, ნუ იცი ასე მიშტერება სახეში, ეს არ შეიძლება, ეს უზრდელობააო. რა იცოდნენ, რომ მე რაღაცებზე ვხედავდი.

დედას არ ეუბნებოდით ამის შესახებ?

— არა. არავის არაფერს არ ვუბნებოდი ვინაიდან უკვე ვხვდებოდი, რომ ის ჩემი მხოლოდ ფიზიკური, მინიერი დედა იყო. მე კი, დაბადებიდან თბილ, დადებით ენერგიებში მყოფი, უკვე ჩემს სულიერ დედას ვეძებდი ყველგან და ყველაში. მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი, რომ მინიერებში ის არ უნდა მეძებნა. ასე ვიყავი 12 წლამდე... საერთოდ, პატარაობიდან ძალიან დამოუკიდებელი ვიყავი.

თანატოლებთან თუ გიყვარდათ თამაში?

— არა, ყოველთვის ჩაკეტილი ვიყავი საკუთარ თავში, იმიტომ, რომ მე ჩემი სამყარო მქონდა, სადაც მარტო არ ვიყავი. ის სამყარო ყველაფერს მივსებდა. სათამაშოები, თოჯინები ახლა უფრო შემეყვარდა.

თქვენ თქვით, რომ 12 წლისას სერიოზული ხილვა გქონდათ.

— დიახ. ეს ძალიან ძლიერი, ეკლესიური,

რეალური ხილვა იყო — ღვთისმშობელი ვინილი. მაგრამ ამაზე არ მიყვარს საუბარი.

რატომ?

— რატომ და წამოვიდა ბევრი ცრუ. ზოგი ამბობს, გოგრა მომხვდა თავში, ზოგიც — მეძინა და ასეთად გავიღვიძეო, ზოგი ყავაში იყურება და კარტს შლის...

ამისი არ გჯერათ?

— არა! იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ცრუა და შავი.

არასდროს დაინტერესებულხართ ყავაში ყურებით ან კარტის გაშლით?

— არასდროს! არც დაინტერესებულვარ და არც მაინტერესებს. მე რასაც ვხედავ, ისიც მეყოფა — ვნერ პოლიტიკაზე. ეს ურთულესი საქმეა. ნოსტრადამუსი ლექსებით წერდა, მე კი ყოველგვარი ლექსების გარეშე ვნერ და პირდაპირ ვწინასწარმეტყველებ.

როდის გადაერთეთ პოლიტიკურ წინასწარმეტყველებებზე?

— პოლიტიკაში მე დიდი ხანია, გადართული ვარ. მაგალითად, რასაც 1992 წელს ვწერდი, ის 1986-87 წლებში ვნახე. ჯერ ზეპირად გადავცემდი ჩემს ახლობლებს ჩემს ხილვებს, მერე ერთმა ქალბატონმა მიჩნია, ეს ხომ საქართველოა, სჯობს, ყველაფერი ჩაინეროო. აი, ასე დავიწყე ყველაფრის დოკუმენტურად დაფიქსირება 1992 წლიდან.

თქვენ წერთ, რა მოხდება, მაგრამ არასდროს მიუთითებთ დროს. რატომ?

— ჩვენ საერთოდ დროს არ ვწინასწარმეტყველებთ.

ვინ თქვენ?

— ჩვენ! მე მარტო არ ვარ. ის მეორე მხარე თვენთანაც რომ იყოს, თქვენც წინასწარმეტყველი იქნებოდით.

ეს მეორე მხარე ზეციური, კოსმიური?

— რა თქმა უნდა. ჩვენ ვწინასწარმეტყველებთ და მთავარი ეს არის. ხომ სრულდება ყველაფერი, რასაც ჩვენ ვამბობთ, ხომ ისე მიდის ყველაფერი, როგორც ჩვენ ვამბობთ. ამაზე მეტი ფაქტი რაღა უნდათ ადამიანებს?

თქვენი ხილვები თქვენს პირად ცხოვრებას თუ შეხება? თუ ხედავთ, რა მოვლით თქვენი იჯახის წევრებს, პირადად თქვენ, თქვენს ახლობლებს?

— მე ყველაფერი ვიცი წინასწარ. ხედავ რომც არ მქონდეს, სული მიწყებს ფორიაქს, მაჯანჯღარებს. მერე უკვე დაცვითი ენერგიების გაცემას ვიწყებ და ა.შ.

თითქოს ბოლომდე არ გსურთ გაიხსნათ, რატომ?

— საქმე ისაა, რომ დღეს ბევრს წერენ ამის შესახებ სენსაციის გამო, თან, საკუთარი ინტერპრეტაციით, თითქოს ეს რაღაც გასართობი პროგრამა იყოს. ნუ ეხებიან ამ ხედვით სფეროს, იმიტომ, რომ დღეს ძალიან უჭირს ფსიქოლოგიურად ჩემს ქართველობას. ამ ხალხს სიმართლე უნდა დაანახო, მისცე რაღაც სალი, ნამდვილი, უნდა დაანახო მომავალი, რომ იქამდე გაძლოს. სტიმული უნდა მისცე, ზღაპრებით კი არ უნდა კვებო. თან, ისედაც არ მიყვარს სცენები, გამოსვლები.

როგორ გრძნობთ თავს ხილვებისას?

— ძალიან კარვად, რადგან ასტრალურ ზოლზე, როგორც ადამიანები კოსმოსში გასვლას უწოდებენ, ჩემი სახლია. ადამიანთა შორის კი სტუმარივით ვგრძნობ თავს.

შეღებთანაც?

— ჩვენი დედაშვილობა ნამდვილად არ არის ტრადიციული. მე არ ვფუსფუსებ სხვა დედები-

ით მათზე, არ ვფორიაქობ და არც მათ ვაფორიაქებ. მეტ დამოუკიდებლობას ვაძლევ. ჩვენ უფრო მეგობრები ვართ. ჩემი სამი წლის თაკუნაც კი ძალიან დამოუკიდებელია. მე მათ არ ვეჩხუბები, უბრალოდ, ვიცავ ენერგიებით და ვაძლიერებ. საერთოდ, მინდა იცოდეთ, რომ ჩემთვის ყველანაირი სიყვარული ჯვრით იწყება. ჯვარი არის უმაღლესი სიყვარულის სათავე.

საიდან მოდის ის იმპულსი, რომ ეს ყველაფერი თქვენში სწორედ ღვთიურია, კეთილის საწყისია?

— ჩემი სულიერი სახლიდან.

თქვენი განვითარება და ცოდნა გეზმარებათ ამაში?

— არავითარი ჩემი განვითარება. მე არც ისტორია ვიცი და არც გეოგრაფია. ხანდახან რუკაზე ისეთ სახელმწიფოს ვეძებ, რომ მეოთხე კლასელ ბავშვსაც კი გაეცინება. ჩემს თავში ეს არ უნდა იყოს, მე თავში სუფთა ფურცლები მაქვს — დაუნერვლი. საერთოდ, ჩვენ ხედავ ჯვრით გვეხსნება — ჯერ ჯვარს ვხედავ და მერე გავდივარ ხილვაში. ჩემით, მინიერად, არასდროს არაფერს ვამატებ. ეს ცოდვაა! ეს არ შეიძლება!

უცხად ქალბატონ ლელას თვალი გაუშტერდა, დაიძაბა, ოდნავ წამოწითლდა და აფორიაქდა.

რა მოხდა?

— შეშინებულმა ვკითხე მე.

— კავკასიონი! — ჩაილაპარაკა მან ცოტა ხნის შემდეგ.

რა კავკასიონი?

— ცეცხლის ბურთშია მოქცეული ამ წუთში, მწვერვალზე ცეცხლი უკიდია. მინც გაერთიანდებიან...

ვინ?

— კავკასიის მუსლიმანები. 1992 წლიდან დღემდე განუწყვეტილად მაქვს ხილვები კავკასიაზე — დაღესტანზე, ჩეჩნეთზე, დუდაევის სიკვდილსაც ვხედავდი. აი, ჩემი ახალი, 1998 წლის დასაწყისის წინასწარმეტყველებებიც: ამერიკა მაინც დაარტყამს ერაყს (ერაყი ჩემთვის, სიმბოლურად, მუსლიმური ქვეყნებია). დროის განვლვა დიდ დანაკარგს მოუტანს ქრისტიანებს. ვხედავ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიას ზუსტად იმ ადგილებზე, რომლებიც მართლა უნდა დაინვას. ეს გადაარჩენს მსოფლიოს მესამე მსოფლიო ომის დროს. მუსლიმებს არ ექნებათ ბიოლოგიური თუ ქიმიური იარაღი. ისინი განაგრძობენ გაერთიანებას. ფრთხილად! კლინტონიც უნდა გაფრთხილდეს, მასაც მოუწყობენ ტერორს, მაგრამ ვერაფერს დააკლებენ. ესეც მუსლიმებისგან მოდის.

ამბობენ, რომ სექტემბერში კიდევ ახალი ტერაქტებია მოსალოდნელი, უფრო დაიძაბება სიტუაცია და იქნება ახალი თავდასხმა შევარდნაძეზე.

— 1998 წლის ტერაქტი შევარდნაძეზე 1995 წელს ვინწინასწარმეტყველე და ასრულდა კიდევ. რაც შეეხება ახალ ტერაქტებსა და დაიძაბულობას — კი, პატარა-პატარა ტერაქტები იქნება, მაგრამ ის, რომ თბილისი დაინგრეს ან რაიმე დიდი უბედურება მოხდეს, ასეთი არაფერი. პარლამენტში, როგორც ყოველთვის ერთმანეთს დაჭამენ დეპუტატები, მაგრამ ის, რომ დიდი სისხლი დაიღვაროს, სისულელეა, გამორიცხულია!

მე უფრო სხვა რამ მაღელვებს: მსოფლიო ომი და ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც ასე იძაბება. რუსეთი ამას ვერ გაუმკლავდება. პარალელურად ვხედავ ამერიკის მოქმედებებს მუსლიმურ ქვეყნებზე. კლინტონის განხორციელებულ დარტყმას მე დადებითად ვაფასებ — ეს საჭირო იყო. მუსლიმები მაინც გადმოდიან შეტევაზე, მაგრამ გამარჯვება მათ მხარეს არ იქნება. ჩეჩნეთში ომი არ დასრულდება. რუსეთი ვერ გაატარებს იმ პოლიტიკას, რაც სურს. ჩეჩნეთის პრეზიდენტი რუსებს იმედებს გაუტრუებს. რუსეთ-ოსეთის კონფლიქტიც აუცილებლად იქნება, ინგუშოსთა შეტაკებაც არ დაავიანებს. ინგუშეთის პრეზიდენტი კონტაქტში შედის ჩეჩნეთთან, ჩეჩნეთსაც გარკვეული ანგარიშები აქვთ ოსებთან. რუსეთი აქ არ ჩაერევა. ოსები საქართველოსკენ იყურებიან.

რუსეთში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ჩერნომირდინი და ჩუბაისი — მათ შორის მშვიდობა არასდროს დამყარდება, ისინი იომებენ. ელცინი გარდაიცვლება — მოულოდნელად გული გაუჩერდება. ჩერნომირდინი, ვხედავ, დროებითი ფიგურაა, ჩუბაისი უფრო მაღლა აიწევს, ყველაფერს მოისყიდის და შუმიკოს წამოიწევს პრეზიდენტის პოსტზე. იწყება კავკასიის ომები. ჩეჩნეთში ცვლა ნავა, პრეზიდენტს მოკლავენ. ვხედავ ორი პრეზიდენტის სიკვდილს.

ამ ორში დუდაევისაც გულისხმობთ?

— არა, დუდაევი საღა არის? მე მას 1992 წელს ვწინასწარმეტყველე სიკვდილი.

საქართველოს შავიზღვისპირეთი ოქროს საბადოს ტოლია. ვხედავ ქიმიურ ელემენტებს, რომლებზეც წარმოდგენაა კი არ მაქვს, რას ნიშნავს: H₂S, S₂O, H₂O, J, H, S, CL

ეს ძალზე მნიშვნელოვანია. საქართველოს შავიზღვისპირეთის ზოლი საზღვაო ხომალდებისთვის მშვენიერი ბაზაა. ასე რომ, საქართველოს საზღვრები საიმედოდაა დაცული ზღვიდან. ცენტრალური შტაბი ფოთში იქნება.

ჩეჩნეთში ახალი მთავრობა შეიქმნება. ვილას ემასსოვრება მასხადოვი ან ბასაევი?! რუსეთი ჩეჩნეთს ვერ წაშლის და ვერ გაართულებს.

დაღესტანთან საქმიანი კონტაქტები დაიწყება. რუსეთი ამას ხელს ვერ შეუშლის. აქედან იწ-

ციტატები * ციტატები * ციტატები * ციტატები * ციტატები * ციტატები



როგორც ცნობილი გახდა, სწორედ მედვედევმა უბრძანა ტელევიზიებს, გაეშუქებინათ ის, რაც რუსეთის ქალაქების ცენტრალურ მოედნებზე ხდებოდა, ხოლო პოლიციას — რბილად ემოქმედა. ტანდემი აღარ არსებობს, მონოპოლიური ხელისუფლება გაიხსლია. მედია, პოლიტიკოსები, თანამედროვე ჩინოვნიკები ახლა მეფე პუტინსა და შედარებით ზომიერ მედვედევს შორის არსებულ უთანხმოებაზე ათამაშდნენ. ლიბერალური ბურჟუაზიისთვის, საშუალო კლას-

ისთვის, პროვინციელი სახელმწიფო მოხელეებისთვის, რომლებმაც ხმა „ეძინაია რასიას“ არ მისცეს, მედვედევი გმირი არ იყო, ის იმედი იყო და მისმა საჩქარო ლიკვიდაციამ პუტინის დასასრულის პროვოცირება გამოიწვია. მაგრამ ახალგაზრდა პრეზიდენტი, ქვეყნის მთავარსარდალი საკუთარ პოსტზე მარტამდე რჩება და მანამდე მის განკარგულებაშია სასიკვდილო იარაღი: რუსეთის ლამის მონარქული კონსტიტუციის შესაბამისად, მას შეუძლია პრემიერი თანამდებობიდან გააშუვას მაშინ, როცა მოუნდება, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. სანამ პუტინი სუპერპოპულარული პრემიერი გახლდათ, ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, მაგრამ ახლა, როცა მის გადადგომას ნახევარი ქვეყანა მოითხოვს, ვინ იცის, რა მოხდება?

ანა ზაფესოვა, ლა სტამპას ურნალისტი.

2011 წელი, 27 ივნისი, თბილისი, დილის 9 საათი.

ხალხი ხელახლა, რომ რუსეთი გადაგვარდის გზაზეა. სლავიანების რაოდენობა უფროდაუფრო მცირდება, სოფლები ძვრება და ა.შ. და ა.შ.

ლელა კაკაულია

რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალურმა სამსახურმა როსსტატმა ცოტა ხნის წინ მოსახლეობის აღწერის საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა. სულ დათვლილია 137 მილიონ 900 ათასი კაცი, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. აღწერამ ცხადყო, რომ ქვეყნის მოსახლეობა 2002 წლის შემდეგ 2 მილიონ 300 ათასი კაციტა შემცირებული, რაც შობადობასთან შედარებით, გარდაცვალების მაღალი დონითა გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ოლქში დაფიქსირდა შობადობის მაღალი დონე, რითაც მოსახლეობა იქ ამ ხნის განმავლობაში 500 ათასი კაცით გაიზარდა.


ქვეყნის ყველაზე მრავალრიცხოვან ხალხად კვლავ რჩებიან რუსები (111 მილიონი ადამიანი), თუმცა 8 წლის განმავლობაში მათი რაოდენობა 4 მილიონით შემცირდა. რუსეთში ცხოვრობს 5 მილიონ 310 ათასი თათარი, 1 მილიონ 930 ათასი უკრაინელი, 1 მილიონ 580 ათასი ბაშკირი და 1 მილიონ 440 ათასი ჩუვაში.

ზემოთ ჩამოთვლილ ეროვნების ადამიანთა რაოდენობა მცირდება, სამაგიეროდ იზრდება არა რუსების, არამედ ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების რაოდენობა: ჩეჩნების, ავარების, ლეკებისა და ინგუშებისა. მათ შორის ყველაზე მეტი ჩეჩნები არიან — 1 მილიონ 430 ათასი კაცი.

კვლევის მონაცემებთან გაცნობის შემდეგ საკუთარი დასკვნა გამოიტანეს დემოგრაფებმაც: რუსეთში იზრდება მიგრანტთა რაოდენობა, რაც ერთგვარად ნიშნავს დემოგრაფიულ დანაკარგებს რუსებს შორის. ცენტრალური და ჩრდილო-დასავლურ ფედერალურ ოლქებში მოსახლეობა სწორედ მათ ხარჯზე იზრდება. განსაკუთრებით მიმზიდველ რეგიონებში ოფიციალურად დაფიქსირებულ მიგრანტთა რაოდენობა ძირითადი მაცხოვრებლების დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს. მიმზიდველობის მხრივ ლიდერობს მოსკოვის ოლქი, სადაც ოფიციალურად დაფიქსირებულ მიგრანტთა რაოდენობა 9,08 პროცენტია, ლენინგრადის ოლქში ჩასულთა წილი 7,2 პროცენტია, ხოლო ბელგოროდის ოლქში 6,7 პროცენტია. საკუთრივ დედაქალაქი, მოსკოვის ოლქს შემდეგ, მეორე

რუს უკვე

გამძალი რუსული დასახლებების ერთი ნაწილის კონსოლიდაცია და დაბრუნებული ფოტო



ენებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი. მამაკაცთა გარდაცვალების მასშტაბები, უბრალოდ, გამოგნებელია. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მონაცემებით, შრომისუნარიან მამაკაცთა ორი მესამედი არაფხიზელ მდგომარეობაში იღუპება.

ალკოჰოლი რუსეთის დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი-დესტრუქციული ფაქტორია.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ალკოჰოლური პოლიტიკის მეტნაკლებად ეფექტური ზომები ის შეზღუდვებია, რომლებიც მის მისანვდომობას ართულებს. იმ შემთხვევაში, თუ არაყი 250 რუბლზე მეტი ელირება, რუსეთი აღარ იქნება არყის ქვეყანა. ამით სპირტიანი სასმელების გამოყენება შემცირდება, ხოლო სიცოცხლეს 500 ათასი კაცი შეინარჩუნებს. ოღონდ, ეს იმ შემთხვევაში, თუ ამის პარალელურად, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადდება ალკოჰოლური სასმელების არალეგალურ წარმოებას, ხოლო ახალგაზრდებს კატეგორიულად აეკრძალებათ ყოველგვარი სპირტის შემცველის სმა.

სწორედ ალკოჰოლის გადაჭარბებული გამოყენებით აიხსნება ისიც, რომ ქვეყანაში სულ უფრო მცირდება რუსების რაოდენობა, ხოლო ჩეჩნებისა - იზრდება!

როგორც ჩანს, მოძვე რუსი ხალხის გადაშენების საფრთხემ სულით ხორცამდე შეძრა პუტინის ერთგული კადრიოვი და სასწრაფოდ შესთავაზა ხელისუფლებას მშრალი კანონის შემოღება. ალკოჰოლიზმსა და ტერორიზმს შორის არანაირი სხვაობა არ არის, განაცხადა ჩეჩნეთის თავმა: რუსეთში ალკოჰოლიზმით 100, 200 და 300 პროცენტითაც კი მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ტერორიზმის ხაზით. ეს რუსეთის ავადმყოფობაა... ალკოჰოლიც არც ოჯახი აინტერესებს, არც სამშობლო და არც სახელმწიფო. ის ტვირთია. დათვრება, ცოლს სცემს, შვილებს დაერევა, ოჯახს გარეთ გაყრის და იჯდება ასე - მთვრალი და უკონტროლო. ან საჭეს მიუჯდება და თვითონაც მოკვდება და სხვასაც დაღუპავს. აბა, მითხარით, რა სხვაობა ტერორისტსა და მთვრალ მძღოლს შორის? აბსოლუტურად არანაირი!

თუმცა, მშრალი კანონის შემოღება არც ისე იოლია ქვეყანაში, რომელმაც, თავის დროზე რელიგიაც კი იმის მიხედვით აირჩია, კრძალავდა თუ არა იგი ალკოჰოლის გამოყენებას. თანაც, ეს ერთხელ უკვე სცადეს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგები არც მაშინ მოჰყოლია ამ მცდელობას. მითუმეტეს, ახლა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც სპირტიანი სასმელების წარმოება-რეალიზაციას უზარმაზარი კერძო ფინანსური ინტერესები ახლავს, მათი გაყიდვის შეზღუდვა ძალზე რთული იქნება — ძლიერი ლობი ამას არ დაუშვებს. ყოველ შემთხვევაში, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რომ მშრალი კანონი საკანონმდებლო ორგანომ არ დაამტკიცოს.

ამასობაში კი რუსი ხალხი დეგრადირდება, წყდება და ჯერჯერობით კვლავ ჰაერში გამოკიდებული რჩება კითხვა: რატომ მცირდება რუსეთში სლავთა რაოდენობა, ხოლო ჩეჩნებისა — მატულობს?

თუმცა, როგორც ქალბატონი ლელა ბრძანებს, მომავალში რუსეთში სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებებიც კი განხორციელდება იმისათვის, რომ ქვეყანა ნამდვილ სლავურ სახელმწიფოდ იქცეს.

1992 წელი, 18 დეკემბერი.

ამერიკას მხარი და სხირი კონტაქტი ეძნება საპარტიველოსთან იმხანა გენერალური შტაბი ცენტრალურ საზღვრებთან დაკავშირებით. ამერიკისა და ევროპის მოქმედება ამ სიტუაციაში კლინია. საზღვარეულ ფლოტიც კლინირდება და პოლიციაც, იმხანა ახალი გვარდია ჩამოვინა სპეციალისტები. საპარტიველო უონას იცავს უნიკალური რაღარაბი, რომელთაც ამერიკა აქლავს საპარტიველოს (და გავრსხვა რამესაც). საპარტიველოს საზღვრებზე დაიდგამება კლინირ, სანიღუმლო საზღვარეული იარაღი, ტიქნიკა, რომელთაც პირით მიტყულებს ვხედავ ადგილსაველეთის ქვეყნების მხარეს. ღილაკს რომ დააჭირო სელი, მთელ ადგილსაველეთს გადაწვავს. ეს გარემოებას იცავს საპარტიველოს მუსლიმებისგან — შიში.

2009 წელი, 4 აპრილი, თბილისი.

ზუსტად ვხედავ, რომ ამერიკელნი გვიმარებიან იარაღით და გავრსხვა რამითაც...

2009 წელი, 2 მაისი, თბილისი.

ღღას ქართული ჯარი თავიდან იბადება, ასევე შიში დიდკალი იარაღი. ზუსტად ეს აზინებთ რუსებს.

2009 წელი, 12 ოქტომბერი.

ამერიკა კი მხარად ღდას თავის აზრზე. ეს არის საპარტიველოს შიშიარაღება და რაც მთავარია, ნატოში განაწილებება.

2009 წელი, 16 ოქტომბერი, ურამი.

ამერიკა, ვხედავ, ისევ განაგრძობს დასმარებას, განსაკუთრებით, იარაღით და ეს უზრალე იარაღი არაა!

2009 წელი, 30 დეკემბერი, ურამი.

საპარტიველო კი კლინირდება. შიში დიდს ის საზღვარეული ტიქნიკა და რამები, რომლებიც ჯერ კიდევ (იხილეთ ნიგნეში) 1992 წლის 18 დეკემბერს ვინანსარამებშია. ღღას, ქართული ჯარი და შიშიარაღება შიში გავრსხვა რამეს „შირიფას“ მიუზღვრავს, რაც საპარტიველოს გადაარჩინს.

რუსეთს კალიან ეზინა საპარტიველოს შიშიარაღებისა. სწორედია. იმიტომ, რომ თუკი საპარტიველოს ეძნება ვხედავარი საზღვარეული სახით (და ვხედავ, გვიმარება კიდევ), ყოველივე რუსეთის დიდი გარცხით და მთავრდება.

2010 წელი, 25 ივნისი.

მიწა აღვნიშნო ამერიკის უფრო კლინირ მხარდაჭერა და ეს მხარდაჭერა ზუსტად საშიშიან გამოვინარე იმხანა და ვხედავსათვის ხელუღნი. ვხედავ, მომავალში რუსეთს კი გააოცება რუსეთი ნამდვილად არ ვიქნებოდ, რომ ამერიკის მთავრობა ასეთ სერიოზულ, საშიში გამოხატულ პოლიტიკას გაატარებდა საპარტიველოსთან მიმართებაში.

ლელა კაკაულია

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ წინასწარმეტყველებებისა, რომლებიც ქალბატონმა ლელამ ამერიკა-საქართველოს შორის სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობაზე წარმოთქვა. ჩვენ ამ შემთხვევაში ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ იმ ჩანაწერების ნაწილზე, რომლებშიც საქართველოს იარაღით მომარაგების თაობაზე საუბარი შეერთებული შტატების მხრიდან. საქმე ისაა, რომ სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ამერიკის კონგრესმა პრეზიდენტ ბარაკ ობამას ხელმოსანერად წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც საქართველოსთან უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას ისახავს მიზნად და რომელშიც საქართველოსთვის იარაღის მიყიდვაზე საუბარი.


როგორც დოკუმენტის 1244-2 მუხლშია აღნიშნული, მისზე ხელმოწერიდან 90 დღის განმავლობაში, პრეზიდენტმა კონგრესს უნდა წარუდგინოს საქართველოსა და აშშ-ს შორის სამხედრო თანამშრომლობის ნორმალიზაციის გეგმა, რომელიც თავდაცვითი იარაღის მიყიდვასაც მოიცავს.

სამხედრო თანამშრომლობის ნორმალიზაციის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს რამდენიმე ამოცანის გადაჭრას, მათ შორის: ჩვენი ქვეყნის სუვერენული ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფაში დახმარებას, ამ თავდაცვის განსახორციელებლად სამხედრო ტექნიკისა და მასალების მიყიდვასა და სამხედრო მომსახურების განვებას.

გარდა ამისა, აშშ კონგრესმენები ურჩევენ პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციას, დაარწმუნონ ნატო-ს სხვა წევრი თუ წევრობის კანდიდატი ქვეყნები, მათაც ალაღვიონ საქართველოსთვის გაზრდილი მოცულობით სამხედრო ტექნიკის მიყიდვა და სამხედრო მომსახურება.

Окончательные итоги Всероссийской переписи населения 2010 г.

Российская Федерация	Средняя плотность населения
106 427 000	38 737 000
105 313 800 (+1 113 200)	37 542 800 (+1 194 000)
67 600 000	77 600 000
66 100 000 (+1 500 000)	76 800 000 (+800 000)
145 166 700	
142 856 500 (+2 310 200)	



ადგილზეა მიგრანტთა შედინების მხრივ. ფედერალური სტატისტიკური სამსახურის დასკვნაში ასევე ნათქვამია, რომ 2002 წლიდან ახალ აღწერამდე ქვეყანაში გაქრა 8 500 სოფელი და დაბა და ასევე 19 400 დასახლება. იქიდან ადამიანები არავის გაუყრია, ისინი საკუთარი ნებით ნავიდნენ უფრო მეტად შემოსავლიან ადგილებში საცხოვრებლად.


ისმის საკვებით ლოგიკური კითხვები: რატომ ცარიელდება ქვეყანა? რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი არსებული ვითარება შენარჩუნდება? რა უნდა გაკეთდეს რუსეთის გადასარჩენად?

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სოციოლოგი დარია ხალტურინა მიიჩნევს, რომ ქვეყანა შეიძლება გადაარჩეს, თუკი ამას ხელისუფლება და ხალხი მოინდომებს: მსოფლიოში უამრავი სახელმწიფოა, სადაც ადამიანები ბევრად ღარიბად და ცუდად ცხოვრობენ, ვიდრე რუსეთში, მაგრამ იქ მოსახლეობა არ მცირდება. ჩვენს ქვეყანაში კი კატასტროფული მდგომარეობა ამხროვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსახლეობის კლების ერთ-ერთი მიზეზი — 40 წლამდე ასაკის მამაკაცთა შორის სპირტიანი სასმელების გამოყ-

პიკაპი

რატომღაც გვგონია, რომ დოკუმენტის ავტორის ვინაობა არავისთვის იყო გასაკვირი და მოულოდნელი. დიას, ეს რესპუბლიკელი კონგრესმენი ჯონ მაკკეინი გახლავთ — ცნობილი რუსოფობი და საქართველოს თავგამოდებული გულშემამტკივარი. ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც მაკკეინი საქართველოსთვის ამერიკული იარაღის მიყიდვაზე საუბრობს და ამტკიცებს,



ჯონ მაკკეინი

რომ ამ პატარა ქვეყანას იარაღი არა თავდასასხმელად, არამედ თავდაცვისთვის სჭირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მაკკეინს აქტიურად უჭერს მხარს მაიკლ თერნერი, რომელიც აბსოლუტურად ლოგიკურ კითხვას სვამს: როგორ არ უნდა მივყიდოთ თავდაცვითი იარაღი ქვეყანას, რომლის ჯარისკაცებიც ამერიკელებს მხარდამხარ იბრძვიან ავღანეთში?

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ დოკუმენტის გამოქვეყნებისთანავე რუსულ მედიაში გაჩნდა შემოფოტებული პუბლიკაციები სათაურებით: აშშ ოფიციალურად აპირებს საქართველოსთვის იარაღის მიყიდვას! და რაღა თქმა უნდა, ყველა ელოდა, რომ მომდევნო დღეებში ეს თემა სერიოზული აუიოტაჟის საფუძველი გახდებოდა კრემლში. მაგრამ...

მაგრამ დღეები დღეებს მისდევს და მსგავსი არაფერი შეინიშნება. რატომ? ეს ჩვენ — ჩვეულებრივმა მოკვდავებმა არ ვიცით, ამას ქალბატონ ლელასთან ინტერვიუში აუცილებლად გავარკვევთ, მაგრამ მანამდე აქვე ამერიკელი ჟურნალისტის, ჯოშუა კუცერას სტატიას გთავაზობთ, რომელშიც იგი რუსების სიმშვიდის მიზეზებში გარკვევას ცდილობს.

ჯოშუა კუცერა: რატომ დუმს რუსეთი შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს შეიარაღებაზე?

აშშ-ის კონგრესმა ობამას ადმინისტრაციას სამხედრო სფეროში საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზებაზე თანხმობა მისცა, მათ შორის, თბილისისთვის თავდაცვითი შეიარაღების მიყიდვაზე. როდესაც ეს ინფორმაცია გავერცხლეთ, ყველა ელოდა, რომ ამ ნაბიჯს მოსკოვისგან სასტიკი რეაქცია მოჰყვებოდა. კრემლი ხომ აცხადებდა, რომ ყველაზე ნეგატიურად გადატვირთვის პოლიტიკაზე სწორედ ეს ნაბიჯი აისახებოდა. გარდა ამისა, რუსეთი ბოლო დროს ძალიან მკვეთრად რეაგირებდა ისეთ თემაზე, როგორცაა, მაგალითად, ნატოს რიტორიკის კორექტირება საქართველოს მიმართ. კრემლი ასევე სკანდალის გაღვივებას შეეცადა, როდესაც განაცხადა, რომ საქართველო თავის ტერიტორიაზე ანტირუს ტერორისტებს ამზადებს. რუსეთი არაერთხელ დაემუქრა ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემების ელემენტების განთავსებასთან დაკავშირებულ გეგმებსაც.

კონგრესის მიერ ზემოთ ნახსენები რეზოლუციის მიღების დღიდან ერთი კვირის თავზეც კი მოსკოვი დუმდა. მე საკითხი გადავამოწმე მთელ რიგ ინფორმირებულ წყაროებთან მოსკოვში, თბილისა და ვაშინგტონში და ვთხოვე მათ, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საკუთარი თეორიები გაეზიარებინათ. აი, რამდენიმე მათგანი:

• რუსეთი იმდენად არის დაკავებული ოპონენტების კრიტიკით ქვეყნის შიგნით, რომ საქართველო ნაკლებად აღელვებს.

ეს ვერსია შეიძლება ლოგიკურიცაა, მაგრამ თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქართველების თეორიას იმის თაობაზე, რომ ბოლოდროინდელი ტერორისტული შეთქმულება კრემლის სრუკი იყო, რომლის მიზანიც საგარეო საფრთხის წინაშე რუსული საზოგადოების კონსოლიდაციაა. კრემლს რომ ასეთი მიზანი ჰქონოდა, კონგრესის ეს კონკრეტული ნაბიჯი მოსკოვისთვის გაცილებით ხელსაყრელი საბაბი იქნებოდა, ვიდრე გამოგონილი ტერორისტული შეთქმულება.

• კრემლს მიაჩნია, რომ ყველაფერი ჯერ-ჯერობით განხილვის პროცესშია, ამიტომ რეაგირებაც არ ღირს.

რა თქმა უნდა, კანონს ჯერ პრეზიდენტმა ობამამ უნდა მოაწეროს ხელი. ეს დოკუმენტი კი მხოლოდ რეკომენდაციებს მოიცავს სახელმწიფო

დეპარტამენტისა და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსთვის, რათა მათ შეიმუშაონ ურთიერთობის ნორმალიზებასთან დაკავშირებული სამოქმედო პროგრამა. მაგრამ ადამიანებმა, რომლებიც კანონებსა და მათ გამოყენებაში კარგად ერკვევიან, შემდეგში დამარწმუნეს: მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტისთვის კანონის სახის მინიჭებამდე კიდევ რამდენიმე შუალედური ნაბიჯის გადადგმა საჭიროა, იგი მაინც ავალდებულებს აშშ-ს საქართველოსთვის შეიარაღების მიწოდებას. სახელმწიფო დეპარტამენტი ვერ შეძლებს (სურვილის შემთხვევაშიც კი) ყველაფრის დამუხრუჭებას.

სავარაუდოდ, ეს ყველაფერი მოსკოვმაც კარგად იცის.

• კულუარებში ამერიკელმა დიპლომატებმა თავის რუს კოლეგებს უთხრეს: ჩვენ ნუ დაგვადანაშაულებთ, ყველაფერი მაკკეინის ბრალია.

ესე იგი, რახან აღნიშნული წინადადება თავდაცვის კანონში ცნობილი რუსოფობისა და ქართველების თავყვანისმცემლის, სენატორ მაკკეინის ინიციატივით მოხდა, ამ ფაქტს შეიძლება კრემლის რეაქცია შეერბილებინა.

• თბილისს, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ერთგვარი კულუარული შეთანხმება არსებობს.

ჩემი აზრით, ეს ყველაზე რეალური ვარაუდია, თუმცა, ცოტა არ იყოს, შეთქმულების თეორიის ელფერი დაჰრავს. საქართველოს უფლება ჰქონდა, დაებლოკა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განეწვინება, მაგრამ აშშ-მა ამ ორ ქვეყანას შორის შეთანხმების მიღწევას ხელი შეუწყო და თბილისიც, ბოლოსდაბოლოს, დათანხმდა მსო-ში რუსეთის შესვლას. აბსოლუტურად ცხადია, რომ თანამშრომლობის სანაცვლოდ, საქართველო რამეს მოითხოვდა და ვითომ, რატომ არ მოითხოვდა სწორედ იმას, რომ აშშ-ს თავდაცვითი იარაღი მიეყიდა მისთვის? ესეც ლოგიკური ახსნა იმისა, თუ რატომ ჰქონდა საქართველოს მთავრობას ასეთი თავშეკავებული რეაქცია აღნიშნულ ინფორმაციაზე: თუკი აშშ ხელს შეუწყობდა შეთანხმების მიღწევას, ის ორივე მხარეს სთხოვდა, რომ ამ ამბავს ხმაურის გარეშე ჩაეფლათ (ამით შეიძლება აიხსნას ისიც, თუ რატომ გამოთქვა საჯაროდ პროტესტი, რუსეთის ფედერაციისგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთის მთავრობამ).

მაგრამ მაკკეინის როლის ახსნას ეს სცენარიც მოითხოვს. ის ან თეთრ სახლთან თანამშრომლობს, ან თეთრ სახლს შეიძლება ეთხოვა მაკკეინის ოპონენტებისთვის, მომენტის მინუტების გათვალისწინებით, ხმაური არ აეცხათ. ეს, ცოტა არ იყოს, ჩახუჭუჭებული ვერსიაა, მაგრამ სხვებს არ ჩამოუვარდება.

გაქვთ სხვა ვერსიები? გამიზიარეთ!

დაბოლოს: მართალია, ჯერ აშშ პრეზიდენტს დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია და, რაღა თქმა უნდა, არც საქართველოსთვის იარაღის ოფიციალურად მიყიდვა არ დაწყებულა, მაგრამ რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა იმის შესხენება, რაც ამ კუთხით მოხდება — აშშ საქართველოს აუცილებლად შეიარაღებს!

2011 წელი, 28 აპრილი, თბილისი.

შხადავ რუსულ არმიას, რომელიც მხოლოდ სლავიანებისა და იმეხა დაკომპლექსებული, ანუ ეს იმეხა ნაფიქრი და რუსული ჯარისკაცების ალარ სურს იხილო საპუტარ არმიის ჩრდილოკავკასიაში — ჩიჩნები, ინგუშები და სხვა ირის წარმომადგენლები. უჩიჩნები რუსი ჯარისკაცი შეინახოს და მას გადაუხადოს ფული. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ რუსი საპუტარ მძაფრებს, რუსეთს დაიცავს, სხვა იერმეხის ჯარისკაცი კი არა.

ლელა კაკულია

რამდენიმე თვის წინ ჩვენ ეს წინასწარმეტყველება უკვე შეგახსენებ და იქვე რუსულ პრესაში გაჟონილი ინფორმაციაც გავცნეთ იმის თაობაზე, რომ იქაურ არმიის სამსახურისთვის მხოლოდ რუსი ეროვნების ახალწვეულებს არჩევდნენ. მაშინ ეს ინფორმაცია რუსმა სამხედრო მაღალჩინოსნებმა უარყვეს, ფედერაციის ფარგლებში მცხოვრებ ყველა ეროვნების 18 წლის ახალგაზრდა ექვემდებარება სავალდებულო სამხედრო სამსახურს და ამაში გამოწვევის არ არსებობსო. მაგრამ დასრულდა საშემოდგომო განვევა და შედეგებიც ცნობილი გახდა. რამდენიმე სიტყვით იგი შეიძლება ასე გამოიხატოს: არმიის გაგზავნეს რუსი ეროვნების კოჭლებიც და ელმებიც, მაგრამ არც ერთი ჩეჩენი ან დაღესტნელი!

2011 წლის საშემოდგომო განვევა ყველაზე მცირერიცხოვანი იყო მთელ პოსტსაბჭოთა პერიოდში. არმიის მხოლოდ 136 ათასი ახალგაზრდა გაამწესეს და ისიც, მრავალრიცხოვანი დარღვევითა და უცნაურად ნეზავისძიება გაზეტა წერს, რომ იმ დროს, როცა ჯარში სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარი რუსები წაიყვანეს, ჩრდილოკავკასიელებს საერთოდ არ ახლეს ხელი.

განანსით 2011 წლის შემოდგომაზე რუსულ შეიარაღებულ ძალებში დაღესტნიდან 3320 ახალგაზრდა უნდა წაეყვანათ, მაგრამ მხოლოდ 121 გაიწვიეს, ისიც მხოლოდდაბოლოდ სლავური წარმოშობისა. — განაცხადა სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პოლკოვნიკმა ედუარდ როდიუკოვმა. ამ განცხადებისას იგი ეყრდნობოდა დაღესტნის სამხედრო კომისარიატის მონაცემებს, რომლებიც მას იქაურმა კომისარმა, იანუს ჯამბალაევმა მიანოდა.

იმის თაობაზე, რომ რუსულ არმიის არც ჩეჩენები წაიყვანეს, მასკოვსკი კამსამოლუცმა დაწერა. როგორც გაირკვა, 7 ათასზე მეტი წვევამდელი ასაკის, სამედიცინო კომისია გავლილი ჩეჩენი ახალგაზრდიდან შეიარაღებულ ძალებში არც ერთი, დიას, არც ერთი არ გაუწვევიათ! მიუხედავად იმისა, რომ სამხედროები ჯერ კიდევ სექტემბერში გვარწმუნებდნენ, განვევის კამპანია ჩეჩენების რესპუბლიკაშიც უსუსტად იცე მიმდინარეობს, როგორც რუსეთის ფედერაციის სხვა სუბიექტებში და იგი ჩვეულებისამებრ, საერთო ნესებიდან ყოველგვარი გადახვევის გარეშე ჩაივ-



ვასილი სმირნოვი

ლისო, ეს ასე არ მომხდარა. — განაცხადა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ვასილი სმირნოვმა.

ეს უსამართლობაა! — ირწმუნება ზემოთ ნახსენები როდიუკოვი. — მოსკოვში, იმისათვის რომ განვევის გეგმა შესრულებინათ, არმიის ერთმანეთის მიყოლებით გაიწვიეს ყველა — კოჭლთა და ბრუტინიც, დაღესტანსა და ჩეჩენეთში კი პოტენციური რეკრუტები რეზერვში დატოვეს.

ხდება სამხედრო კოლექტივების თავისებური სლავიანიზაცია და იგი არ შეესაბამება ქვეყნის მოსახლეობის სტრუქტურას. რუსეთის არმია — ეს იმპერიული არმია არ გახლავთ და იგი უნდა იყოს ინტერნაციონალური!

თუმცა მას ბევრი არ ეთანხმება. მეგლს რამდენიც გინდა აჭამე, მაინც ტყისკენ იყურება! — აცხადებდა ჯერ კიდევ ზაფხულში მასკოვსკი კამსამოლუცის წყარო გენერალური შტაბიდან. — საიდუმლო არაა, რომ ჩეჩენებს უამრავი ნათესავი ჰყავთ ბოვეიკებს შორის. გაიწვევ ვინმეს არმიის, ასწავლი, შეიარაღებ, ის კი შამილ ბასაევის ბიძაშვილი აღმოჩნდება — სულით ბოვეიკი და ბრწყინვალე მებრძოლი. და რა უნდა ვქნათ მერე?

რუსული პრესა ეთანხმება გენშტაბის წარმომადგენლის შიშებს და ამის დასტურად დომოდელოვს ტერაქტში დამნაშავედ ცნობილი ინგუში მაგომედ ევლოვის მაგალითი მოჰყავს: მომავალი შაჰიდი წყნარი ოკეანის ფლოტის საზღვაო ქვეითთა 16-ე პოლკში მსახურობდა ვლადიკოსტოკში, სადაც ისწავლა კიდევ, ალბათ, ბევრი რამ ტერაქტის მოსაწყობად.

2009 წელი, 7 იანვარი, დილის 6 საათი, ძრისტაშოვა, ურაჰი.

შხადავ, როგორ ფითქდება რუსული სამხედრო გავი... შხადავ დიდ ტაროვას. რუსულ გავივს ერთმანეთის მიყოლებით ააფთქებან...

ლელა კაკულია

2011 წლის მინურულს - 29 დეკემბერს, რუსულმა საინფორმაციო სააგენტოებმა პირდაპირ შეაზანზარეს ქვეყანა ცნობით იმის შესახებ, რომ მურმანსკთან ახლოს მდებარე ხომალდსარემონტო ნავს სტარტეგიული დანიშნულების ატომური წყალქვეშა ნავი ეკატერინბურგი ინვოდა.

ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ ხომალდის რეაქტორები გათიშული იყო (სხვაგვარად არც მოხდებოდა მისი რემონტზე დაყენება) ვერავინ დაამყვინდა.

საქმე ისაა, რომ შემოფოტებას იწვევდა არამხოლოდ რადიაციული დაბინძურების საფრთხე, არამედ ისიც, რომ იწვოდა ერთ-ერთი ჯერ კიდევ მწყობრში მყოფი წყალქვეშა კრეისერი (რომელთა რაოდენობა დღეს რუსეთში უკვე ძალზე შემცირებულია), რომელიც ალტურვილია კონტინენტშიორისი ბალისტიკური რაკეტებით და ამიტომ სიტუაცია მართლაც ძალზე სახიფათო გახლდათ.

სამოყვარულო ვიდეორგოლმა, რომელიც ლამის მყისიერად გაჩნდა ინტერნეტსივრცეში, საფრთხე ხილულად დაადასტურა: ხომალდის გარშემო შავი კვამლის ბოლქვები რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე ვრცელდებოდა.



რონალდ დ. ასეუსი

მ ს ი რ მ რ მ ი ,

რომელმაც მსოფლიო უმძრა

სამართალმცოდნეობა და დიპლომატიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

(დასაწყისი №49-60)

თავი IV
დიპლომატიური უხელა-უხელა
კომუნიკაციები

კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება დასავლეთის ის პირველი პოლიტიკური ნაბიჯი გახლდათ, რამაც რუსეთის მხრიდან საქართველოს მიზანში ამოღებასა და ომისკენ მიმავალი ბილიკის გაკავალვას შეუწყო ხელი. 6 კვირის შემდეგ მოკავშირეებმა მეორე ნაბიჯიც გადადგეს, რამაც ასევე გააბრაზა მოსკოვი და დამატებითი ნინაპირობებიც შექმნა სამხრეთელი პატარა მეზობლის მიმართ წნეხის კიდევ უფრო გასაძლიერებლად. 2008 წლის 24 აპრილს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე მოკავშირეები დაძაბულად, ზოგჯერ გააფთრებითაც კი კამათობდნენ — მიეცათ თუ არა საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოს-ს წევრობის სამოქმედო გეგმაში (MAP), ანუ იმ პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობა, რომელიც განეწიანების მოსურნე ქვეყნებს სწორედ ამ წევრობისთვის უკეთ მომზადებაში უნდა დახმარებოდა. კომპრომისის თანახმად, მათ მაპ-ში ჩართვაზე უარი ეთქვათ, თუმცა უპრეცედენტო განაცხადი კი გაკეთდა ამ ქვეყნების საბოლოო განეწიანების გარდუვალობის თაობაზე.

ნატო იმედოვნებდა, რომ ამგვარი კომპრომისი არამხოლოდ მოკავშირეთა შორის არსებულ განხეთქილებას აღმოფხვრდა, არამედ საქართველოსაც განუმტკიცებდა იმედებს. ალიანსის ლიდერებს იმის იმედიც ჰქონდათ, რომ მაპ-ის საკითხის გვერდზე გადადებით მოსკოვთან შეჯახებასაც აიროდებდნენ თავიდან, რადგან ეს უკანასკნელი ნატოსგან საერთოდ ყველაფერზე უარის თქმას მოითხოვდა. ამიტომაც ის, რაც ნატოს გადასახედიდან, მართალია, არა იდეალურ, მაგრამ მაინც წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნეოდა თბილისისა და კიევისათვის, გარკვეული თვალსაზრისით მოსკოვს ყველაზე უარეს პერსპექტივად მიაჩნდა. სხვა თუ არაფერი, ურემლის ქეშმარიტი მიზანი არა უბრალოდ მისი მეზობლებისათვის მაპ-ში ჩართვის თავიდან აცილება იყო, არამედ — წინისმიერი საუბრის დასრულება მათ საბოლოო განეწიანებასთან დაკავშირებით. ბუქარესტის სამიტზე კი სწორედ საპროსპორი რამ მოხდა:

ალიანსის ლიდერები ახლა აშკარად დედადნენ პირობას მოკვანათა იმდამდარ განვითარებაზე, რასაც მოსკოვი ცეცხლივით უფრთხოდა.

ისე, ალიანსი მართლაც ერთსულოვნად და ერთ მუშტად შეკრული რომ დამდგარიყო ამ მიზნის განსახორციელებლად, მოსკოვს იქნებ მართლაც დაეხია უკან; რუსეთი ხომ ნატოს გაფართოების წინა რაუნდებსაც აპროტესტებდა, მაგრამ ერთსულოვანი ალიანსის პირისპირ აღმოჩენილი, მაშინ დათმობებზეც წავიდა. თუმცა საქართველო და უკრაინა მაინც უფრო მტკიცეული საკითხი იყო მისთვის და ბუქარესტში გამართულმა დავა-კამათმაც აშკარად გამოაჩინა, რამდენად არაერთგვაროვანი იყო ნატოს ამ თემასთან მიმართებაში. მხარდაჭერის სურვილი მხოლოდ ქალაქებზე დაფიქსირდა. მოსკოვის თვალსაზრისით კი, საფრთხე ის იყო, რომ ამ ქვეყნების კანდიდატობაზე საუბარი ახლა უფროდაუფრო მოიკრებდა ძალას და პროცესები შეუქცევადი გახდებოდა. ამავე დროს, თავად ნატოში არსებული აზრთა სხვადასხვაობა იმაზეც მიანიშნებდა, რომ ამ კანდიდატთა შეჩერების გარკვეული შესაძლებლობა ჯერ კიდევ რჩებოდა. დრო კი მოსკოვის სასარგებლოდ არ მუშაობდა და სწრაფად მოქმედებას აიძულებდა. შესაბამისად, საკითხის მოხსნის სანაცვლოდ, შესაძლოა ბუქარესტში მიღებულმა გადაწყვეტილებამ პირიქით — გაამძაფრა რუსეთის დაპირისპირება საქართველოსთან, რის თაობაზეც აცხადებდასაც ებედოვნებდნენ მოკავშირეები, და ამ სამიტის დასრულებიდან ორი კვირის თავზე მოსკოვმა რამდენიმე ისეთი ნაბიჯი გადადგა, რამაც ძალზე სერიოზულად გაუფრთხლა თბილისს საქმე.

მაინც, როგორ მოხდა, რომ თავისთავად ისეთმა ბუნდოვანმა საკითხმა, როგორც ნატოს მაპ-ად ნოდებული პროგრამა, აზრთა ასეთი სხვადასხვაობა გამოიწვია და კონფლიქტის ერთგვარ პატივსაცემად კი იქცა? საკუთარ იმედებს თბილისი იმთავითვე ნატოს უკავშირებდა და მიიჩნევდა, რომ სწორედ ის დაეხმარებოდა რუსეთთან გაუარესებული ურთიერთობების მოგვარებაში. ბუქარესტის სამიტისგანაც საკუთარი პროდასავლური

კურსის დაფასებას მოელოდა; საქართველოსთვის ამგვარი მხარდაჭერა გადამწყვეტი იყო შინ რეფორმების გასაგრძელებლად და რუსეთისთვისაც იმის საჩვენებლად, რომ მისი ხელის შემშლელი ქმედებების მიუხედავად, საქართველოს სწრაფვა დასავლეთისკენ უკვე შეუქცევადი ხდებოდა. ასევე, გაყინული კონფლიქტების მოგვარების ხანგრძლივი სტრატეგიის კუთხითაც საქართველოში ისევ და ისევ ნატო მიაჩნდათ უმთავრეს მხარდამჭერად. იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ დასავლეთთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება განდგომილი პროვინციების მოსახლეობას დაარწმუნებდა, რომ დასავლეთისკენ მიმავალი, ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში განეწიანების შანსის მქონე საქართველოს ავტონომიურ რეგიონში ცხოვრება უკეთეს არჩევანს წარმოადგენდა, ვიდრე ალიანსი ავტოკრატულ რუსეთთან, რომლის დამოკიდებულებაც უმცირესობათა მიმართ კარგად იყო ცნობილი ყველასთვის.

ალიანსის მიერ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იან წლების შუა ხანებში ახალი წევრებისთვის შემუშავებული სტანდარტების მიხედვით, არც საქართველო და არც უკრაინა არ პასუხობდნენ ნატოს სრულფასოვან წევრობის მოთხოვნებს. ისინი უფრო რაღაც თავშესაფარს ეძებდნენ, სადაც პოლიტიკურად მიიღებდნენ, მათ მცდელობასა და მიღწევებს დააფასებდნენ და მოსკოვს გზავნილს მიანვდიდნენ, ეს ქვეყნები დასავლური ორბიტის ნაწილი ხდება და მათზე ხელი უნდა აიღოთო. ამ მიზეზების გამო, თბილისსა თუ კიევისთვის მაპ-ის მიცემა-არმიცემის საკითხი უკვე იმ პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას იქნა, რაც ბევრად სცდებოდა ამ პროგრამის თავისთავად სიკეთებს. რუსეთის სამიზნე ქვეყნისთვის, სადაც საშინაო წნეხიც ძლიერი იყო, მტკიცეული რეფორმების გზით დასავლეთისკენ სწრაფვის დასადასტურებლად მაპ-ის მიღება მართლაც რომ ციური მანანასავით იქნებოდა.

პრობლემა ორზღანიანი გახლდათ: პირველი საკითხი ის იყო, რომ თავად მაპ-ი ამ ტიპის პოლიტიკური და სტრატეგიული დილემების გადაჭრას არასდროს გულისხმობდა. მე ამერიკის ხელისუფლების იმ გუნდში შევდიოდი, რომელმაც ნატოს 1999 წლის ვაშინგტონის სამიტის კონცეფცია შეიმუშავა — მაპ-ი იმ გამოცდილებამ დაბადა, რაც ნატოს პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის მიმართულებით გაფართოების პირველი რაუნდისას დაგროვდა, ანუ იმის გააზრებამ, რომ ეს ქვეყნები მოსალოდნელზე უარესად იყვნენ მომზადებული ალიანსში გასაწიანებლად. ხელსაყრელი სტრატეგიული გარემოს პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმედისმომცემი ქვეყნები — პროდასავლური რეფორმების გატარებით ზოგადად ევროპის სტაბილურობასაც შეუწყობდნენ ხელს, ნატომ შეგნებულად ასწია წევრთათვის 90-იან წლებში გადებული თამასა. ასე რომ, მაპ-ის დანების მიზანი სასტრატოგო პირობების შექმნა და ყურადღების გამახვილება იყო მომავალი კანდიდატებისთვის მომზადების თაობაზე რჩევების მიცემის, პრაქტიკული დახმარებისა და მხარდაჭერის გზით — უკვე შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად.

საბოლოო მიზანი, ცხადია, განეწიანება იყო და სწორედ აქედან მომდინარეობს პროექტის სახელწოდებაც — ნეფრობის სამოქმედო გეგმა. თუმცა, იგი თავისთავად საბოლოო მიზნის უზომოპო გერანტია არ გახლდათ — როგორც თავის დროზე განვმარტეთ ნატო მხოლოდ მაშინ მიანიჭებდა მაპ-ს ამა თუ იმ ქვეყანას, როცა თავად ალიანსი ჩათვლიდა საჭიროდ მის განეწიანებას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა ჯერ მზად არ იყო ამისთვის. ნატოში განეწიანება მართონში მონაწილეობას დაემსგავსა — ქვეყნებს თავად უნდა დაეფარათ ეს დისტანცია და ფინიშის ხაზიც უცილობლად გადაეკვეთათ. მოკლედ, ვერავინ ვერავის ვერანაირ გარანტიას ვერ მისცემდა. თუმცა მაპ-ი ერთგვარი მუდმივი წვრთნის რეჟიმსაც გულისხმობდა, როცა მწვრთნელს სტარტზე მომზადებული სპორტსმენი გამოიყვანეს. მომზადების ტვირთი თავად ქვეყნის მხრებზე იყო, თუმცა ნატოელები დახმარების მზადყოფნაში იყვნენ. ეს უფრო ერთგვარ საკუთარი თავის დახმარების პროგრამას ჰგავდა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არამხოლოდ სწრაფად და დროულად უნდა მომზადებულიყვნენ, არამედ იმის შიშაც უნდა ჰქონოდათ, ზედ კართან არ შეგვარებნო. მოკლედ, ეს მათი სისუსტეების აღმოჩენასაც ნათქვამად იყო გამოჩნული და არა ვინმეს, განსაკუთრებით — რუსეთის აგრესიულობის აღსაკვეთად.

მაპ-ის სტანდარტები გაცილებით უფრო სპეციფიური იყო, ვიდრე ყოველივე ის, რასაც მანამდე ნატო ამ ორგანიზაციაში განეწიანების მოსურნე ქვეყნებისგან მოითხოვდა. მაგრამ ეს სტანდარტები მაინც უაღრესად ზოგადი იყო და

შეფასების პროცესიც — პოლიტიკური გავლენისგან დაუცველი. არადა, ესეც წინდაწინ იყო ნაგულისხმევი: ნატოს არც ვილაც-ვილაცევის გაუაზრებლად განეწიანება სურდა და არც ის უნდოდა, ხელ-ფეხი ჰქონოდა დაბორკილი. საბოლოოდ, საკითხი — გახდებოდა თუ არა ესა თუ ის ქვეყანა ნატოს წევრი, პოლიტიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების შედეგი იქნებოდა — თუმცა, იმის გათვალისწინებით, როგორც მოიქცეოდა იგი. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ნატომ ამგვარი ქვეყნის შედარებით მკაცრი ნორმები დაანესა უსაფრთხოების გათვალისწინებით, თუმცა, უფლებაც დაიტოვა, ნორმები შეერბილებინა, თუ ამას ვითარება მოითხოვდა. უზენაესი კრიტერიუმი ის იყო, რამდენად დარწმუნებოდა ალიანსის თითოეული წევრი, რომ ახალი კანდიდატის მიღება ზოგადად ნატოს ინტერესს შეესაბამებოდა.

არადა ნატომ წყალი თავიდანვე ამღვრა, როცა მაპის მიწიქების თაობაზე მისივე შემოღებული და საკმაოდ ნაჩქარევად დადგენილი წესები თითქმის მაშინვე დაარღვია, რაკი კოსოვოს კრიზისის უკიდურესი გამწვავების დროს ამ პროგრამაში ალბანეთიც ჩართო. ყველამ იცოდა, რომ ალბანეთი, საუკეთესო შემთხვევაში, კიდევ ათი წელი ვერ უნდა გამხდარიყო წევრი, მაგრამ ალიანსს ალბანეთთან თანამშრომლობის შენარჩუნება სჭირდებოდა კოსოვოში გაგანა ომის დროს და თუკი საამისოდ მაპი იყო საჭირო, მაშინ ნატო არც ამაზე იხედა უკან. მისმა ამ ნაბიჯმა პრეცედენტი შექმნა, რომლის გამოძახილიც 10 წლის შემდეგ გაისმა: თუკი ნატოს წევრებმა ერთხელ ადრეც უგულებელყვეს საკუთარი დადგენილი წესები, მეორედ რას უნდა შეშალა ხელი მათთვის? თუკი დრო და ვითარება მოითხოვდა, სავსებით დასაშვებია ჩანდა, რომ პოლიტიკური ლიდერები თვალს დაუჭავდნენ მათ მიერვე დადგენილი ნორმებიდან გადახვევაზე. ეს ქართველებსა და უკრაინელებს შეეძლოთ სათავისოდ გამოეყენათ, როდესაც მავანი კრიტიკის სები აცხადებდნენ: მაპ-ის მისაღებად ჯერ საკმარისი არ გაუკეთებიათო.

მაგრამ ძალის თავიც აქ იყო ჩამარხული და ეს გახლდათ სწორედ მეორე პრობლემა: სინამდვილეში, ნატოს წევრ ქვეყანათაგან ყველას ერთნირად არ სჯეროდა, რომ უფრო ღრმად, ევრაზიისკენ თუ შავი ზღვის გადაღმა გაფართოება მართლაც საჭირო იყო და საქართველოსა და უკრაინის ნატოში განეწიანება ამ ქვეყნებისა თუ ზოგადად, ალიანსის ძირულ ინტერესს პასუხობდა. საბოლოო მიზანთან დაკავშირებული ამგვარი კვებტიციზმიდან გამომდინარე, ისინი ახლა ამ ზომიერი ნაბიჯის გადაგმაზეც ყოყმანობდნენ. მაპის მიცემის მიმართ მათი წინააღმდეგობა იქცა ტექნიკურ ფორმად, რომელშიც უფრო ღრმა, პოლიტიკური და სტრატეგიული ეჭვები გამოიხატებოდა. საქმე ის იყო, რომ მეოცე საუკუნის 90-იან წლების ბოლოს, ქვეყანათა გარკვეული ჯგუფებისთვის მაპ-ის მიცემა ფაქტობრივად, შეუქცევადი ჩანდა: თავად ალიანსში ჩამოყალიბდა აზრი, რომ საბოლოოდ ყველა ეს ქვეყანა — ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე — უთუოდ განეწიანდებოდა ევროკავშირსა და ნატოში, და ამ პროცესის ტემპები თითოეული მათგანის მზადყოფნის მიხედვით უნდა განსაზღვრულიყო. როცა ჯერი ალბანეთისთვის მაპ-ის მიცემაზე მიდგა, ნატოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა ომის ფაქტორმა და იმ ფაქტმა უკონია, რომ ალიანსმა პრინციპში უკვე გადალახა რუბიკონი და სათავისოდ გადაწყვიტა, ადრე თუ გვიან, ბალკანეთის სახელმწიფოებზეც ნატოს უნდა შეერთებოდა.

არც ერთი მსგავსი მოსაზრება უკრაინასა და საქართველოზე არ წყველებოდა. როგორც ერთიან ალიანსს, ნატოს სრული თანხმობისთვის ვერ მიეღწია — კვლავ გაფართოებულიყო თუ არა ევრაზიისა და ამიერკავკასიის მიმართულებით.

იმავე 90-იან წლებში, როცა ნატოს გაფართოების კონცეფცია შეიქმნა და განხილვამ დაიწყო, უნარის მქონე რამდენიმე პიროვნების გარდა, სერიოზულად არც არავის უფიქრია, პროცესი ასე შორს თუ წავიდოდა.

იმ პერიოდში, კლინტონის პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს, სახელმწიფო დეპარტამენტში ნატოს გაფართოების საკითხზე ვმუშაობდი და მაშინ უმთავრესი ყურადღება ეწ. ვიშეგრადის ჯგუფში შემავალ ქვეყნებზე, ანუ მხოლოდ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე იყო გადატანილი. შემდეგ არეალი უკვე გაფართოვდა და საუბარი დაიწყო რეგიონზე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. პრეზიდენტმა ბუშმა 2001 წლის ივნისში, ვარშავაში ნატოს გაფართოების თაობაზე წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში ოფიციალურად დაადასტურა, რომ გაფართოებული ალიანსის მიზანია მოიცვას

ჩხს უკვე მიხდა

(დასაწყისი 33.6)

ოდნავ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ თავდაპირველად ცეცხლი არა თავად ეკატერინბურგს, არამედ უზარმაზარ მცურავ დოკს გაუჩნდა, რომელიც სუბმარინი იმყოფებოდა.

ჩრდილოეთ ფლოტის პრეს-სამსახურის ოფიციალური განმარტებით, ალმა 16 საათსა და 20 წუთზე იფეთქა, როდესაც სომალდზე შესადუღებელი სამუშაოები მიმდინარეობდა. მიზეზად მუშების მხრიდან ტექნოლოგიური პროცესების უხეში დარღვევა დასახელდა. ამის შემდეგ ცეცხლი მოედო ხს ხარაჩოებს, რომლებშიც ეს უზარმაზარი სომალდი იყო ჩასმული და საბოლოოდ მან კრიესერის მსუბუქ კორპუსამდეც მიაღწია.

ხანძრის ჩაქრობაში 60 ადამიანზე მეტი, 14 ერთეული ტექნიკა და სომალდ ვიცე-ადმირალ კულაკოვის ავარიული პარტიები მონაწილეობდნენ. მაგრამ შეღამებულზე ცეცხლმა ისეთი ძალა მოიკრიბა, რომ რადიკალური გადაწყვეტილება მიიღეს — ჩაძირეს მცურავი დოკი. მეორე დღეს, როცა დოკმა კვლავ ამოყვინთა, სომალდის გემბანზე უამრავმა მოსკოვურმა, მურმან-სკულმა თუ სევერომორსკულმა კომისიამ და შემომხმებელმა იხუვლა, რომელთაც სათავეში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ნიკოლაი მაკაროვი ედგათ.

როგორც ცნობილი ხდება, ხანძრის დროს 9 ადამიანი დაშავდა. ისინი წვის პროდუქტებით მოინამლნენ და ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ახლა პირველი რანგის კაპიტანი, 1990-1995 წლებში ეკატერინბურგის ხელმძღვანელი, იგორ კუდრინი აცხადებს, რომ სუბმარინს მნიშვნელოვანი დაზიანებები არ მისდგომია — იგი მხოლოდ დაზარალებული მსუბუქად შეიბოლა. მაგრამ



ცოტა ხნით ადრე კომისიის წევრთაგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცეცხლისგან დამახინჯებული ნაყლაკემა ნავი შესაძლოა საერთოდ ამორიცხონ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სიდიდან და უტილიზაციაზე გაუშვან. წყაროს, რომელიც ინტერფაქსმა გამოკითხა, მიზანშეუწონლად მიანდა სომალდის აღდგენა, ვინაიდან მაღალი ტემპერატურის ხანგრძლივი დროის მანძილზე შემოქმედების გამო, სუბმარინის მთელი რიგი კონსტრუქციები აუცილებლად დაკარგავდა გამძლეობას და მთლიანად შესაცვლელი იქნებოდა. ახლა მომხდართან დაკავშირებით საგამოძიებო სამუშაოები მიმდინარეობს და ფაქტია, ატომური სუბმარინისთვის საფრთხის შექმნის გამო, მხოლოდ საცოდავი შემდგომი არ დაისჯება... და იქნებ სულაც უმიზეზოდ!

შუამიკო რომ მოვა პრაზიდეზად, მაშინ ყველაფერი დაწყნარდება ჩხს-ისთვის და საქართველოსთვის!

(დასაწყისი 33.5)

ყება ბრძოლა. ვხედავ, მომავალში დაღვთებულები, ჩეჩნები, ინგუშები და სხვები ერთიანდებიან. ამ გაერთიანებაში რუსეთი ცხვირს ვერ ჩაყოფს. ისინი კი ქმნიან ნამდვილ კავკასიურ სახლს, რაც ძალზე შეაშინებს რუსეთს, მაგრამ ამ პროცესს ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს. ცენტრი ამ კავკასიურ სახლისა იქნება თბილისში. ამით რუსეთი დანაშაულები, რადგან საქართველო იკავებს ვითომ ნეიტრალიტეტს.

საქართველოში კი ვხედავ, მომავალში სულ სხვა ხალხი მოდის, ძველებს არ ვხედავ.

— არც შევარდნაძეს?

— ამ შეკითხვას ნუ დამისვამთ. ახლა 1997 წლის წინასწარმეტყველებებს წავიკითხავთ: დაღესტანში არეულობები კი აიცილა რუსეთმა, მაგრამ ესეც დროებითია. მომავალში მოდის ახალი პრეზიდენტი, თავისი ქვეყნის პატრიოტი, რომელიც რუსებს ბაღბას მოუხარშავს. კავკასიის ომი გარდაუვალია!

— საქართველოს როლი ამ ომში?

— საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრები ღვივს განაგრძობს. ბუნების რისხვა დაატყდებათ თავს გვირაბებს. მათ მინით ამოვსებულს ვხედავ. ამას დივერსიას დაარქმევენ, მაგრამ ზვავებით იქნება გამოწვეული. თუ საქართველომ კვიენალპსზე ყურადღება არ გაამახვილა, პატარა კატასტროფა მაინც იქნება. ფრთხილად! საქართველოს საზღვრები იკეტება. ამერიკასა და დასავლეთს სურთ, საქართველო იხილონ, როგორც ძლიერი სახელმწიფო. ამერიკა მუსლიმებს არ ენდობა და ახორციელებს ისეთ პროგრამას, რომლითაც ხელს შეუწყობს საქართველოს. ძლიერი საქართველო ძლიერი დასაყრდენი ბაზა იქნება მუსლიმურ სამყაროში, ამიტომ მას ერთი გოჯი მინაც არ მოაკლდება. საქართველოს საზღვრების დაცვასა და მთელ კავკასიაში სამხედრო ბაზებს ვხედავ. რუსი ნააგებს მომავალში, საკუთარი თავი უხდება დასაცავი მუსლიმებისგან. საქართველო აფხაზეთს კი არა, სოჭსაც შემოიერთებს. საქართველოს შავი ზღვის ზოლი, რომელიც მას ეკუთვნის, ხელშეუხებელი იქნება.

დაიწყება ოსთა და ინგუშთა ტერიტორიული ომი. სამაჩაბლო კი თავის ქართველებს იბრუნებს. ჩეჩნეთი მომავალში საქართველოს ეყრდნობა და არც წააგებს. აი სომხეთი კი წააგებს რუსეთთან კონტაქტით. ბოლოს, მგონი ისინიც საქართველოს დასაცავები გახდებიან. აზერბაიჯანი საქართველოსთან თამაშს ვერ გაბედავს — საინგილო უნდა დაგვიბრუნდეს. ამას დიდი ხანია, ვწინასწარმეტყველებ. ეს საკითხი ირანში გადაწყდება. აზერბაიჯანის პრეზიდენტს ავადმყოფობა ელის და ფრთხილად უნდა იყოს.

— ყველაფერ ამას ხილვებისას წერთ თუ მერე?

— თან ვხედავ და თან ვწერ. ამიტომ ძალიან მიჭირს ამ დროს წერა — ხან ასოებს ვაკლებ, ხან სიტყვებს. მერე კი ვზივარ და ვიხსენებ, რა იყო იქ.

— დღის რომელიმე, გარკვეულ მონაკვეთში გენყვებათ ხილვები?

— არა, ჩვენ ყოველ წუთს შეგვიძლია გავისინათ და დავინახოთ.

— ეს თქვენი სურვილისამებრ ხდება?

— დიას, სურვილისამებრაც შემიძლია დავი-

ნახო. საერთოდ კი, თავისით მოდის. აი, როგორც წელან, როცა კავკასიაში ცეცხლი დაიწყო.

— ამიტომ ხართ ასე დაძაბული?

— მე მუდამ დაძაბული ვარ.

— ეს იმიტომ, რომ საქართველოში დაძაბული სიტუაციაა?

— დაძაბულობა მთელ მსოფლიოშია და საქართველოს მათგან ყველაზე კარგი მომავალი აქვს. ჩვენ გამოვალთ ამ მდგომარეობიდან.

— აფხაზეთის ქართველობას რა ელის?

— ისინი მალე დაუბრუნდებიან თავიანთ სახლ-კარს.

— მშვიდობიანად თუ ძალისმიერად?

— მშვიდობითაც რომ შევიდნენ, იქ არიან აქტიური, მოქმედი ბანდები, რომელთა ლიკვიდაციაც საჭიროა და ეს პატარა ომს ჰგავს. რუსეთი აქეთ შეგვეხვეწება და გაგვინმენდს გზას. რუსები გამწარებულები ირბენენ, საკუთარი თავი გაუჭირდებათ. კავკასიას ვერ მარ-თავენ, თუ საქართველო არ მოაძლიერებს...

— როგორ უნდა იყოს რუსეთი, რომ ჩვენს სასარგებლოდ მოიქცეს?

— შუამიკო რომ მოვა პრეზიდენტად, მაშინ ყველაფერი დაწყნარდება რუსეთშიც და საქართველოშიც.

— ბევრი ქართველი პოლიტიკოსი შუამიკოს პრეზიდენტობას, პოლიტიკური ლოგიკით, კატეგორიულად გამორიცხავს.

— რომელი პოლიტიკოსები? და რა შეუძლიათ მათ — ბედისწერის შეცვლა თუ რა? ისინი მხოლოდ დინებას მიჰყვებიან. რაც შეეხება ლოგიკას, მე ეს არ მესმის — მე მაქვს ხილვები, ვხედავ ზღაპრებს, მაგრამ ეს ზღაპრები მე რა სრულდება.

— შუამიკომ თუ იცის ეს წინასწარმეტყველება?

— ძალიან კარგად იცის. სხვათა შორის, მთელმა რუსეთმა იცის, რომ მე ვარსებობ და ჩემი წინასწარმეტყველებებიც იცის.

— პირადად იცნობთ შუამიკოს?

— არა.

— თქვენთან ბევრი ქართველი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოხელე მოდის. თქვენ უბრალოდ მეგობრობთ მათთან თუ წინასწარმეტყველებთ და ჭკუას არიგებთ მათ?

— რასაც ვხედავ, იმას ვეუბნები და თუ ჭკუა აქვთ, მოიხმარონ.

— სჯერათ თქვენი ხილვებისა?

— კი, იმიტომ, რომ სულელები არ არიან. საერთოდ, ჩემს ირგვლივ საკმაოდ ჭკვიანი ხალხია შეკრებილი.

— ხომ ვერ დაასახელებთ რომელიმე ქართველ პოლიტიკოსს, რომელსაც ახლო მომავალში დიდი წინსვლა ელის?

— არ დავაკონკრეტებ, იმიტომ, რომ თუ ერთს გაუხარდება, მეორეს ეწყინება.

— როგორ ხედავთ მომავალში „მოქალაქეთა კავშირს“?

— ის, რომ მოქალაქეების რღვევა დაიწყება, ადრეც ვინასწარმეტყველე. მომავალში მას ვეღარ ვხედავ. ახალ პარტიას ვხედავ, დიდი ცვლილებები იქნება.

— ამ პარტიაში ძველი პოლიტიკოსები იქნებიან?

— ზოგი ძველი, ზოგი — ახალი. ეს ძლიერი პარტია იქნება.

— რომელიმეს ხომ არ დაგვისახელებთ, ისეთს, ვისაც ვიცნობთ?

— არა, იმიტომ, რომ პოლიტიკოსებმა ერთმანეთი არ დაჭამონ. მე ბევრი რამ ვიცი, მაგრამ ხშირად მათივე საკეთილდღეოდ ვარ ჩუმიად. პირადად კი, იცოცხლე, ვეუბნები.

— თქვენს წინასწარმეტყველებებში შევარდნაძის კრიტიკა წავიკითხე, რაც ძალიან გამიკვირდა.

— ეს კრიტიკა არ არის. მე იმას ვამბობ, რასაც ვხედავ. ეს კაცი, როგორც ეტევა ბედისწერის ჩარჩოებში, ისე მოქმედებს, მე კი უფლება არ მაქვს, მინიერი თვალთ დავინახო და შევაფასო იგი. მე ვწერ მის დადებით ნაბიჯებზეც და უარყოფითზეც. რატომ უნდა გაგიკვირდეთ ეს?

— შევარდნაძემ თუ იცის თქვენი წინასწარმეტყველებები?

— ყველამ ყველაფერი იცის, იმიტომ, რომ ყველას აინტერესებს ისინი.

— უკვე გამოჟონა, რომ პატრიარქსა და შევარდნაძეს შორის უთანხმოებაა, რაც თქვენ წინასწარმეტყველები გაქვთ.

— ჰოდა, რომ გამოჟონა, ხომ ხედავთ, რომ ასრულდა?

— როგორ ხედავთ, შევარდნაძე მორწმუნე მართლმადიდებელია?

— ცოლო, მეცოდება... საერთოდ, ძალიან ძნელია, ატარო გვირგვინი, თან ამ პერიოდში, თან, საქართველოში, ასეთი განუკითხობის დროს. ისე, რატომ გგონიათ, რომ არ სწამს ღმერთი?

— ჩემი აზრით, შევარდნაძე მორწმუნე რომ იყოს, ბევრ სიკეთეს გაუკეთებდა საქართველოს და ამით ბევრი ტრაგედია აგვეცდებოდა. ნუთუ მას არ შეუძლია საქართველოსთვის სიკეთის კეთება?

— კი, შეუძლია, მაგრამ როგორ?

— ეს მისი პრობლემაა. პრეზიდენტობა თუ უნდა, საქართველოზეც უნდა იფიქროს.

— არა, არა. რაც ბედისწერით აქვს საქართველოს, ის უნდა მოხდეს. რაც ბედისწერით აწერია შევარდნაძეს, იმას აკეთებს.

— უკვე ჩამოვალდა აზრი, რომ შევარდნაძე თუ არ წავა, საქართველოს არაფერი ეშველება.

— კიდევ გიმეორებთ: საქართველომ რაც ბედისწერით აწერია, ის გზა უნდა გაიაროს...

— თქვენ წინასწარმეტყველებთ, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი იქნება ვინმე „კ“.

— სხვათა შორის, არც იმას უღიხს. არც ის იქნება ხალხისგან დაფასებული, იმას უფრო გადაჭამენ... - კ მისი გვარის ერთ-ერთი ასოა. მისი სახელიც ვიცი და გვარიც, მაგრამ არ ვიტყვი. ალბათ, ხვდებით, რატომაც. ეცეც რომ დეაკონკრეტე, ვინანე, იმიტომ რომ ამის შემდეგ ბევრ ცრუ წინასწარმეტყველს აკერია იგი პირზე.

— თუ უტკენიათ თქვენთვის გული და თუ დაგბადებიათ სამაგიეროს გადახდის სურვილი?

— ეჰ, გულს ხშირად მტკენენ, მაგრამ სამაგიეროს გადახდის სურვილი არ მქონია, ვინაიდან ვიცი, რომ მართალი ვარ და დიდ ძალას ვფლობ, რომლის გახსნა სამაგიეროს გადახდის მიზნით არ შეიძლება. ხშირად ეცინებათ ხოლმე ჩემს წინასწარმეტყველებებზე, არ სჯერათ, მაგრამ რომ სრულდება, მერე მე ვიცი ხოლმე.

— თქვენ გიცნობენ როგორც ნათელმხილველს, მაგრამ როგორი დედაა, მეუღლე და დიასახლისია ლელა კაკულია?

— ძალიან ცუდი. ფაქტობრივად, დრო არ მრჩება ჩემი ქმარ-შვილისთვის. სულ ხალხთან ვარ, სულ ვწინასწარმეტყველებ. ჩემი თავუნა დედა კაკულიას მეძახის.

— მეუღლე რას ამბობს?

— ჩემი მეუღლე წყნარი გურულია. მსოფლიოში მასზე კარგი მეუღლე არ არსებობს.

— პროფესიით ვინ ბრძანდებით?

— წინასწარმეტყველი! ჩემი მინიერი ცოდნა არ არის ალსანიშნავი. ჩემი ყველაზე დიდი ცოდნა ნათელმხილველობაა.

— თქვენი ყველაზე დიდი უცნაურობა?

— მე ყველაფერში უცნაური ვარ. ეს შეკითხვა სჯობს, ჩემს ახლობლებს დაუსვით. აი, ჰკითხეთ გენერალს. ის ჩემი საუკეთესო მეგობარია.

ჩვენს საუბარს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ბენიძეც ესწრებოდა, რომელსაც ქალბატონი ლელა მოფერეხიტი გენერალს ეძახის. ბატონი ოთარი საამოვნებით ჩაგვეერთო საუბარში.

— ლელა საერთოდ უცნაურობაა. ის არც შეიძლება იყოს სხვანაირი. მე უკვე ისე შევეჩვიე მის უცნაურობებს, რომ ვეღარც კი ვგრძნობ. მაგალითად, ხანდახან ლელა ბევრ ყინულს ჭამს და თან ამბობს, უფ, რა გემრიელიაო.

— ქალბატონო ლელა, ხალხმრავალ ადგილებში თუ დადინართ, მაგალითად, თეატრში?

— მე ხალხი მიყვარს, მაგრამ ხალხმრავლობა არა. ბევრ ხალხში ცუდად ვხდები, რადგან იხსნება მათი დადებითი თუ უარყოფითი ველე-ბი და შევდივარ კონტაქტში.

— სულელების გამოძახება რეალობაა თუ შრლატანობა?

— შარლატანობაა. სხვათა შორის, მე ვხედავ ხოლმე სულს და ის შემოდის ჩემთან კონტაქტში, მაგრამ მისი გამოძახება სისულელეა. თუ სრულად არ ფლობ ნათელმხილვას, სულს, ელემენტარულად, ვერ დაინახავ...

— ოდესმე მთავარი ცივილიზაცია იქამდე, რომ ენერგეტიკით თითოეული ადამიანი ისარგებლებს?

— ეს არასდროს მოხდება.



ჯოშუა კუსარა: პუტინი მოიპინგაებს ეუბნება: შეხალთ, ქართველი ზარბაზნები!

ის, რომ პატრუშვიმა ასეთი განცხადება სწორედ მას შემდეგ გააკეთა, რაც რუსეთში გამართულმა მასობრივმა საპროტესტო აქციებმა რუსეთის მთავრობის მონყველობა ცხადყო, ანუ, ფაქტობრივად, პირველად მას შემდეგ, რაც პუტინი 2000 წელს პრეზიდენტი გახდა.

საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული არსმა პირველმა კავკასიურმა ივარაუდა, რომ მსგავსი განცხადებების მიზანი შიდა პრობლემებიდან რუსული საზოგადოების ყურადღების გადატანა და მათი კრემლის გარშემო კონსოლიდაციისკენ იძულება იყო. აი ფრაგმენტი იმ ვიდეორეპორტაჟიდან, რომელიც ამ არსზე გავიდა და რომელიც ევროპასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ბარამიძის ინტერვიუსაც მოიცავს: სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი ასეთი აბსოლუტურად სულელური და უსაფუძვლო განცხადება რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან. როგორც ჩანს, ეს მათ რუსეთში შიდაპოლიტიკური სიტუაციის გამწვანების ფონზე დასჭირდათ.

რეპორტაჟში მოყვანილი იყო ასევე კარნეგის ცენტრის ექსპერტის ალექსეი მალაშენკოს მოსაზრება: არსებობს სიტუაცია, როდესაც აუცილებელია საზოგადოების კონსოლიდაცია ხელისუფლების ირგვლივ, როგორც არ უნდა იყოს ის. რა საბაბი შეიძლება ამისთვის არსებობდეს?

უპირველესად, საგარეო საფრთხე. ეს საფრთხე საიდან წამოვა — საქართველოდან თუ ფინეთიდან — ამას მნიშვნელობა არ აქვს. ეს არის დამატებითი საბაბი იმისთვის, რომ მანიფესტაციები არ მოეწყოს და ხალხი ხელისუფლების ირგვლივ გაერთიანდეს. როდესაც ადამიანები გრძნობენ საკუთარ სისუსტესა და უუნარობას, ხელს ყოველთვის სხვისკენ იშვებენ, მტრებისკენ, რომლებიც ცხოვრებას არ აცლიან მათ.

თუკი კრემლის მიზანი სწორედ ეს იყო, მაშინ აღნიშნული მცდელობა უსუსურია. ჩემი დაკვირვებით, პატრუშვიის განცხადებაზე საქართველოში გაცილებით მეტად გაამახვილეს ყურადღება, ვიდრე რუსეთში. უფრო მეტი ეფექტისთვის, მსგავსი განცხადება თავად პუტინს უნდა გაეკეთებინა, თანაც, ცხადი დეტალებითა და მტკიცებულებებით, თუნდაც, მტკიცებულებების გაყალბება დასჭირებოდათ. ერთი მხრივ, პუტინის დადანიშნულება ბევრი მიმართულებით შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მას აღნიშნულზე გაცილებით ეფექტური სქემის მოფიქრება შეუძლია. ყურადღების გადატანის მცდელობას ბევრად უფრო ჰგავდა პუტინის განცხადება შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის დაძაბვაზე. მეორე მხრივ, თუკი აქვს კიდევ რაიმე საფუძველი ამ განცხადებებს ტერორიზმის შესახებ, ეს საფუძველი აშკარად გაუგებარია.

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდიანმა ნიკოლაი პატრუშვიმა გაზეთ არგუმენტი ი ფაქტისთან ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთში ტერორისტული აქტების განსახორციელებლად ხალხს საქართველოს ტერიტორიაზე ამზადებენ: რუსეთისა და საქართველოს მრავალრიოვანი ხალხები განუყოფელი არიან. სააკაშვილი კი ახლა ისეთ პოლიტიკას ახორციელებს, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებისგან შორსაა. სულ უფრო მეტ ქართველ ჯარისკაცს აგზავნიან სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად სხვა ქვეყნებში. საქართველოს ტერიტორიაზე ამზადებენ ადამიანებს, რათა მათ რუსეთში ტერორისტული აქტები განახორციელონ. ზოგიერთ მიმომხილველს საეჭვოდ მოეჩვენა

აჰანდა პოლი: სამხრეთ კავკასია - რუსეთი გავლენას კარგავს?

საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში ძალაუფლების მოპოვებისთვის ბრძოლა იყო გაჩაღებული. ეს რეგიონი აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს და სერიოზული გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აქ ყველაზე გავლენიან მოთამაშედ რჩება, განსაკუთრებით ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ეს ტენდენცია ნელ-ნელა კლებსკენ მიდის. მოსკოვისთვის ეს რთულად გადასაყლაპი აბია.

მოსკოვის ქმედებები ხშირად ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს მისთვის მიუღებელია ის, რომ სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო საკუთარ ბედს აბსოლუტურად დამოუკიდებლად განკარგავენ. ეს ეხება ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში, კერძოდ, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციასაც. კრემლი ამათუბი ფორმით ჯიუტად განაგრძობს სვლას დინების წინააღმდეგ, რათა წამყვანი როლი შეინარჩუნოს. დღეისათვის ის აქტიურად იყენებს რბილ ძალას, მათ შორის, თავისუფალ სავაჭრო რეჟიმებს, სავაჭრო შეთანხმებებს, ფინანსურ დახმარებასა და ასე შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ყოველმხრივ ცდილობს სამივე ამ ქვეყანაში რუსული ენის შენარჩუნებას, ეს პოლიტიკა სულ უფროდაუფრო წარუმატებელი ხდება, თუმცა რუსული დღეს მინც რეგიონალურ ენად რჩება.

ამ სამი ქვეყნიდან, საქართველოს რუსეთთან ყველაზე ცუდი ურთიერთობა, ხოლო დასავლეთთან ყველაზე ახლო კავშირები აქვს. 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთმა ხელში ჩაიგდო სამხრეთ ოსეთის დიდი ნაწილი და აფხაზეთი, მაგრამ მოსკოვს არ გააჩნია გავლენა მთელ საქართველოზე. ეს სერიოზულად ზღუდავს მოსკოვის უნარს, მოხიბლოს საქართველოს პოლიტიკური ელიტები, მათ შორის, ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც. ამით საინვესტიციო შესაძლებლობებისთვის კარი იხურება, თუმცა გარკვეული ინვესტიციები ინფრასტრუქტურებში მაინც ხორციელდება.

სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი მთლიანად რუსეთზე არიან დამოკიდებული. თუმცა აფხაზეთში რუსეთის ნაწილად ყოფნის სურვილი მცირეა, მაგრამ ამხრეთ მათ ცოტა რამის გაკეთება თუ შეუძლიათ. გარდა იმისა, რომ მოსკოვს ამ რეგიონებში მასშტაბური სამხედრო წარმომადგენლობა ჰყავს, ის აგრეთვე ნებისმიერ იქ მცხოვრებ ადამიანს პასპორტებს ურიგებს, დებს უზარმაზარ ინვესტიციებს რამდენიმე სექტორში — მათ შორის, ჯანდაცვაში, ინფრასტრუქტურა-

სა და ტურიზმში, ზრდის რუსული ენის სწავლების შესაძლებლობებს, აქტიურად იძენს ქონებას და ასაქმებს რუსეთის მოქალაქეებს სეპარატისტული რეჟიმების ადმინისტრაციებში.

მართალია, რუსეთს არ აქვს უშუალო საზღვარი სომხეთთან, მაგრამ მოსკოვი ერევნის უახლოეს სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოკავშირედ რჩება და ასევე სომხეთს აქვს დიდი ხნის კულტურული კავშირები რუსეთში დიდ სომხურ დიასპორასთან. ურთიერთობა აქ რუსეთის სასარგებლოდ ვითარდება. სომხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა შეიძლება ითქვას, რომ სომხეთი რუსეთს მიჰყავდა, რადგან მისი ენერგოსექტორის 80 პროცენტს რუსეთი აკონტროლებს. რუსეთმა იყიდა სომხეთის მთელი ჰიდროელექტროობა და თითქმის ყველა მისი ატომური ენერგეტიკული სადგური ვალების გაუქმების სანაცვლოდ. რუსეთს უზარმაზარი წილები აქვს სომხეთის საავიაციო ინდუსტრიაში, ეროვნულ რკინიგზაში, საბანკო სექტორის დიდ ნაწილში, სამთომომპოვებელ წარმოებასა და სატელეკომუნიკაციო ქსელში. სომხეთში არის რუსეთის სამხედრო ბაზა (გიუმრი) და რუსი მესაზღვრეები აკონტროლებენ იქვე მდებარე თურქეთ-სომხეთის საზღვარს. მართალია, მოქმედი პრეზიდენტი სერჟ სარგისიანი არ არის რუსეთისადმი ისე ლოიალურად განწყობილი, როგორც მისი წინამორბედი, მაგრამ იმის უკან დაბრუნება, რაც ქოჩარიანმა გაასხვისა, რთულია. მაშასადამე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სომხეთი ცდილობს დასავლეთთან დაახლოებას, მათ შორის, ევროკავშირთან, ბრიტანელი აკადემიკოსისა და რუსოფილის, ჯეიმს ნიქსის თქმით, რუსეთის გავლენა სომხეთში იმდენად დიდია, რომ სუვერენიტეტის ნაკლებობა სომხეთის ნომერ პირველ წუხილს უნდა წარმოადგენდეს.

აზერბაიჯანში რეგიონში ყველაზე დიდი რუსული დიასპორაა — დაახლოებით 160 ათასი ადამიანი, ანუ მოსახლეობის 1.8 პროცენტი. რუსული კულტურის ცენტრი აქტიურად უწყობს ხელს რუსეთის ისტორიის, კულტურის, ენის, ტრადიციებისა და წესჩვეულებების სწავლებას. აქ რუსეთის ორთოდოქსული ეკლესიაც სერიოზულადაა წარმოდგენილი. თუმცა, სომხეთთან რუსეთის ახლო კავშირები (განსაკუთრებით კი მთიანი ყარაბაღის საკითხებში მხარდაჭერის გამო) მოსკოვს აზერბაიჯანთან კავშირების აღდგენაში ხელს უშლის. რუსეთი ვერასდროს ახერხებდა იქ სოლიდური



ეკონომიკური პლაცდარმის შექმნას. აზერბაიჯანის ენერგეტიკულ სექტორში რუსეთი დღეს მხოლოდ ერთ ნავთობსადენს აკონტროლებს, მეტს ვერაფერს.

რეგიონში გავლენისა და საკუთარი ინტერესების გაძლიერებისთვის რუსეთმა ასევე გამოიყენა შუამავლის როლი მთიან ყარაბაღში. ბეჯრის აზრით, რუსეთს კონფლიქტის მყიფე სტატუს-ქვოს შენარჩუნება ურჩევნია, რადგან პრობლემის გადანაცვლებას ეწინააღმდეგება, ხოლო კონფლიქტის განახლება შეიძლება ურთიერთობებში რუსეთის პოზიციას ავნოს და ამის არცთუ უმნიშვნელო მიზეზი სომხეთთან უსაფრთხოების შესახებ გაფორმებული მისი ხელშეკრულებებია.

რუსეთს მანევრებისთვის დღემდე საკმაოდ დიდი სივრცე აქვს, რადგან, საერთო ჯამში, დასავლეთმა სამხრეთ კავკასიის საკითხზე რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების საფრთხის ქვეშ დაყენებაზე უარი განაცხადა. ეს კი ხელს უწყობს რუსეთს, შენარჩუნოს ძლიერი როლი და შეაჩეროს ნატოს გაფართოვება — ყოველ შემთხვევაში, მოცემულ მომენტში.

რუსეთი განაგრძობს ახალი ინიციატივების გამოგონებას, რათა სამხრეთ კავკასია დასურულ მდგომარეობაში შეინარჩუნოს, მაგრამ ვლადიმერ პუტინის ბოლოდროინდელი იდეის, ევრაზიული კავშირის მიმართ ინტერესი მცირეა და ის დიდწილად მკვდრადშობილი იდეაა.

იმპერიების გავლენის სფეროების ერა დასრულდა. დროა, მოსკოვმა ეს აღიაროს და სვლა ისე განაგრძოს.